

1937 წ.
ჯანვარი 1 მ

ნაშრომი

№ 21-22
თბილისი
საბჭოთაო
საბჭოთაო

ინგლისის მთავრობამ მიიღო ფრანკოს წარმომადგენელი ინგლისში პერცოვი აღმა.



ალბა (ინგლისელი დიპლომატები): — თავს ნულარ შეიწუხებთ ბატონებო, რაღა საჭიროა ეს ჩაურევლობის კომიტეტი, აწი მეც კი

ფოტის კინო-ბაზის დირექტორი კარინია ხშირად
მოვრალი მოდის სამსახურში.
(გაზეთებიდან).

ნახ. ღონისა



— გუშინაც ამ სურათს უჩვენებდნენ, მაგრამ მოვრალი კაცო არ მინახავს. ეკრანზე.
— ეს კინო სურათი კი არ არის, ჩვენი კინო-ბაზის დირექტორი შემოსულა მოვრალი და
მისი აჩრდილია.

ქველი სიმღერა

იაპონელი დიპლომატების გან-
ცხადებით მათი ინტერვენცია ჩი-
ნეთში ჩვეულებრივი „თავდაცვითი
აქტია და მეტი არაფერი“.

ძველ დროში თურმე ცხოვრობდა
ქალაქში ვინმე ეთიმი,
ჯიბის ოსტატი, გამწმენდი,
ვაჭნილი, გამოქეჩილი.

ვისაც ფულს დაუგულეებდა
თავის საკბილოდ ჩათვლიდა
და როს დროს დაიხელებდა,
უბიდან ამოაცლიდა.

ერთხელ როდესაც მგზავრების
შან ჯიბეები დაცალა,
მწარი ხმით დაიღრიალა
რაც ღონე ჰქონდა და ძალა:

— მიშველეთ, ქურდმა გამძარცვა,
ჯიბე შემაჭრა ავმაო,
ულუკმა-პუროდ დამტოვა,
რალა ვქნა მე ბედშავმაო.

ეთიმს ბაძავენ ჩვენს დროშიც
ზოგ ქვეყნის დიპლომატები,
მაგრამ თავს იპაბულებენ...
დაუჯერებენ ბატები.

ნამი

საარჩევნო სენა

მოქალაქე ცნობისმოყვარეობით ათვალიე-
რებს საზეიმოდ მორთულ საარჩევნო უბანს.
კრძალვით უახლოვდება კომისიის მდივნის
მაგიდას:

— თუ შეიძლება, ერთი ხმა მეც მომცეთ?
გუშინ ჩამოსულა იმერეთიდან. აქვს მოწ-
მობა. ყველაფერი რიგზეა.

მდივანი აძლევს ბიულეტენებს.
ხმის მისაცემი კაბინების კომისიის წინ ერთ-
ერთი წევრი ტრიალებს.

— მიბრძანდით კაბინაში № 6, იქ მაგიდაა,
კარანდაშია.

— რაო, კარანდაშიაო?! რაში გამომადგე-
ბა, ყმაწვილო, თქვენი კარანდაში. მე იმის
ღირსი გავხდი ასეთ წარჩინებულ ადამიანებს
ხმა მივცე და შენ კარანდაშს მეუბნები?... კ
ხორტუ კარანდაში...

შედის კაბინაში, აწყობს ბიულეტენებს
კონვერტში და მიდის საარჩევნო ყუთისაკენ
გზაში თავისთვის ბუტბუტებს:

— ამას დამიხედეთ, კარანდაშიო!..

დაუხრელათ რომ მიაქვთ
მუდამ ბრძოლის ალაში,
მსურს ჩვენს შინსასკომელებს
ვუძღვნა ჩემი სალამი.

ოცი წელი გუშაგობთ
ხალხის მონაპოვარსა,
შეგედრებათ ვერავინ
გმირებს სწორუპოვარსა!

სიყვარულით გვათრთოლებს
ძერჟინსკის მოგონება
და მის ხსოვნა გულში გვაქვს
უგავილების კონებად.

არ დაინდო ეუფომა
მტერა განახლები,
დანგრია ვერაგთა
ხაფარი და ზვრელები.

საქართველოს ვარდები
მტრებმა ველარ მოგლიჯეს,
ვერ დაუძვრნენ რადგანაც
შინსასკომელ გოგლიძეს.

სხვა გმირებიც ბევრი გვყავს
ჩამოვთვალა რომელი?
მტერთა კვალის მზვერაფი
ძველი შინსასკომელი.

„ვისაც უკლავს, ის მოკლავს
ნადირს შავის ტყისასა“,
ვინც გვაშორა, აგვაცდენს
კვლავ ბნელ ზრახვებს მტრისასა,

ვინც ვიღოდა მტრის კვალზე
ან კვლავ ვის სურს იაროს,
რაც მოიგოს ამითი
მე არ გამიზიაროს.


ჩვენს გმირს შინსასკომელებს
ჩემი ძმური სალამი!
დაუხრელად გეჭიროსთ
მუდამ ბრძოლის ალაში.

ნიანგელი.

განხილვა

აბისინიის მეფის ნაცვალი — იტა-
ლიელი გენერალი გრაციანი აბი-
სინიელ პარტიზანელებთან ბრძო-
ლასთან თავგაუთმელობის გამო
რომში გამოიწვიეს.

წახდა სახელი
ექსლიტატორის
გაშქრა დიდება, როგორც ზმანება
ასე იციან აბისინელმა
„სტუმართმოყვარე“ პარტიზანებმა.



— ე, რა ბატის ნაფეხურებია, ქა?!..
— რის ბატი, რა ბატი, ბატი კი არა ჯეირანი უნდა იყოს, რომ ამ ავტოების გახშირებულ ჯირითში ერთი მხრიდან მეორე მხარეზე უმარცხოდ გადაასწროს...

„ჩივი ბღვნად არ ღირდა, რეზნა მევი იყო“...

(ნამღვილისებური)

პენსიასთან სამსახურიც ისევ ისე მოვიწოდებ, გული მერჩის და არ მყოფნის, სამოც წლამდე რაც ვიშრომე.

ერთ ადგილზე მივაკითხე, მოლბა „ზავ“-ის აპარატი, კადრთა გამგემ დამიბარა, და მიბრძანა: „ა, ბარათი!

ამას განყოფილებაში შენ წარუდგენ გამგეს — ვანოს, ცხადია, რომ სამსახურში იმან უნდა გავაგზავნოს.

ცნობა გვაქვს, რომ ადგილი აქვს მას ქვეგანყოფილებაში, მხოლოდ ჯერ ცნობები თქვენზე შეიტანეთ ანკეტაში!“

დავჯექ წერად ანკეტისა, ცნობას ყველას ვასაბუთებ, სამსახურში შესვლის რწმენით გულს წინასწარ ვასაბუთებ.

და მაინც ამ პროცედურამ დღე ჩაყალბა შემოდგომის, არას ვნახე, რა წინწინ ვგრძნობ ტკბილ ნაყოფს ამ მთელ დღის შრომის...

და ბარათით ხელში გავსწი მეორე დღეს ვანოსკენა, მიველ, მაგრამ ლამის ჩემი გაჰქრა წინ დღის აღმადგენა!..

გამგემ მთელ დღეს მაყურებდა, ჰქონდა სადღაც მოხსენება, და დღის ბოლოს გამოჩნდა და გაჰქრა, როგორც მოჩვენება.

დილისათვის დამიბარა, რალს ვიქდი, მიველ დილას, თუმც ძნელია შუადღემდე ცდა და ჯდომა ერთს ადგილას.

მაგრამ, აბა, სამ დღის შრომას მე წყალს ხომ არ გავატანდი? და ამ დღესაც მე იმ ვანოს გუცადე ორ საათამდე.

ორზე, ვანოც გამოცხადდა და ანკეტა მომიწოდა, შევცემა ვერ მოვითავე, სანამ სამი გავიღოდა.

სამზე ვანომ დახედა და დაჯდა წერად ბარათისა, რომ გადმოცა, უკვე იყო ბოლო ოთხი საათისა.

ცხადია, რომ სამსახურში იმ დღეს მისვლას შნო არ ჰქონდა, მეორე დღეს ადრე მიველ და მით თავიც კი მომწონდა.

მაგრამ ახლა სამსახურის გამგეს კითხვით მოსვლა დილით, ის თერთმეტზე თვალს ძლივს ახელს, რომ გაძლება სახლში ძილით.

და თორმეტზე შემობრძანდა სამსახურში, როგორც პაუზა. მაშინვე წინ ავეტუზე გულმაგარი მე, ვით კაფი.

და ბარათი გავუწოდე, ვანოსაგან მიწაწერი, მაგრამ ვაი, ეს რა მესმის? მომსწრე დარჩეს მსგავსის მტერი!

— „სამსახური?!“ — კვირობს გამგე. „სამსახური... დიას... იყო!.. მხოლოდ დროებითი: ავად ჩვენი ეასო გამხდარიყო.“

ვასო სტატისტიკოსია ჩვენი დაწესებულების, ის გულში კვლავ გამოცხადდა, მეტი კი არ მეგულვების.

ამ „ადგილზე“ კი მე ცნობა კადრთა გამგეს დროზე მივე, სამ დღის იყო სამუშაო და გავიდა დღე სამივე...

გასაკვირი ამბავია, ასე რად დავიგვიანეთ? მაგრამ რალა გავწყობა, თავს თვითონვე აზიანეთ!..

საყვედური გეკადრებათ და ვნაობ, რომ არ ხართ შტატში!.. ერთი სიტყვით, ეს მეოთხე დღეც წავიდა ამ კამათში...

სულ სამ დღის სამსახურზე ოთხი ჯერ მე დამეხარჯა, „ჩივი თურმე ბღვნად არ ღირდა“, მოკვლავიც რომ გამეშარჯვა.

და ამიტომ იმ ჩემს პირველს გამოგზავნელ დიდ აპარატს, ასე ოთხდღე გაცდენილი ვუბრუნებ რა მე ამ ბარათს.


დავსძენ: თუ რომ სამსახურში ის მე გულთით მიმავლენდა, უკვე გასულ სამ დღისათვის ოთხ დღეს მაინც რად მაცდენდა?!
მეზიარა.

ნაზ. გ. ისაევისა.


ტექსტი მის. გოგიაშვილისა.

ზოგიერთი დაწესებულებები უცნაურ სპეცტანსაღმელს აძლევენ თანამშრომლებს.

ეროვნული
გოგიაშვილისა




1. არ უჩანთ ფეხი, არც ხელი, არც თავები უჩანთ, ვინ არიან რა არიან? შეკრთა ჩვენი უჩა.



2. მგზავრსაც მეტი შიშისაგან ენა ებმის პირში, დაფრთხა ვირი და მხედარი გადუძახა თხრილში.



3. მიცვალებულს მისტიროდნენ, ჰყრიდნენ ცხარე კურცხლებს, მიატოვეს ცხედარი და შინისკენ მოჰყურცხლეს.



4. უჩამ ლაშქარი შეჰკრიბა, ბრძანებას სცემს ფიცხელს: თქვენ მტკვარ გალმა ჩასაფრდებით... თქვენ გამაგრდით ხიდზე...



5. გაიშალა „ვარი“ ბარში, შემოარტყეს ალუა, მამაცმა უჩამ დასჭყვივლა: ასწით ხელი მაღლა...



6. — რას გვემართლებით, ძმობილო! რას ვაშავებთ საცემს? იმათ ჰყითხეთ: რად გვაძლევენ ასეთ სპეც-ტანსაცმელს?

შეათხვეპით გადარჩენილი „ღონეუანი“



ფინჩა ნასუფრალოდეს ჭრელი ჩოხა-ახალუხი მხარბეჭს უმშვე-
ნებდა. ქილები მართალია დაკარგოდა, მაგრამ ის შაშხანას დაცლილ
გაზნებით შეევსო, არც ბუხრის ქუდი ჰქონდა წესრიგში, ამიტომ
ნიკოლოზის დროინდელ ჯარისკაცის ქუდს იხურავდა, აზიაცების
ნაცვლად ჩექმები ჩაეცვა.

მუშაობა ეზარებოდა ფინჩას. მეზობლები ურჩევდნენ მას ემუ-
შავა კოლექტივში, მაგრამ ამაოდ. ბუნება თავისას ითხოვს და ფინ-
ჩასაც შეუყვარდა სოფელი გოგო ლალა. ჩოხა-ახალუხში მოწ-
ყვდელი გული საგულედან ვარდებოდა და ბახოიეს ბარბანით
უბათქუნებდა. ოხერია სიყვარული. შეგიჯდება გულში ისე, რო-
გორც კარგ მეწველ ძროხას მშიერი ხბო და სჯიჯგნის გულს. გა-
დაგრეც ისე, რომ ახალუხის ღილებს კი არა, ხევსურულ ძველ
ჯაჭვის პერანგს ნეკის ფრჩხილით ვაგაგლეჯიებს. დიახ, ლალას
სიყვარული ქვასავით ჩაუვარდა გულში ფინჩას და შუაგულში კო-
ნინივით დაინთო. ფინჩა იქამდე გადარჩა სიყვარულმა, რომ პო-
ვეტობაც კი დაიწყო. მთვარიან ღამეში ამ გოგოს ეზოს გადღმა
ათენებდა. ბოლოს როგორც იქნა გულიდან აღმოხეტა სიყვარუ-
ლის ვულკანმა. ფინჩამ ის ლექსის სახით ქალაღზე გადაიღო და
ლალას მისწერა:

ლალა, მოდი ნუ ხარ მტრულად, მოაცურე მაგი ჯორკო, თუ
გინდა ნუ მოაცურებ, ოღონდ მოიტანე კი, ერთად დავსხდეთ ბაბუა-
შენის ბოსტანში და უცქიროთ როგორ არხევს მხალს, ბოლოკს და
წიწმატს ნიაფი. გოგო მიყვარხარ ისე, როგორც ხაჭაპური. ცოლად
მინდა გამომყვე, ცოლად, გინდა, ისე როგორც გერჩიოს...

, ფინჩა ნასუფრალოძე.

სოფელში მანდარინისა და ლიმონის ბაღში კოლმეურნეობის ქა-
ლები ტბილი სიმღერით კრეფდნენ მოსავალს. ლალაც ხელუხვად
კრეფდა მანდარინს. მასთან პატარა ბავშვმა მიიბრინა. ფინჩას სი-
ყვარულობის ბარათი გადასცა.

— ხა, ხა, ხა... — გადინახარა ლალამ. — გოგოებო, მოდით,
მოდით, სიყვარულია, სიყვარული. — წამოიძახა ცუგრუმელა ლა-
ლამ და შეგროვილ გოგოებს ფინჩას წერილი წააკითხა.

ყველამ ერთბაშად გაიცინა, — დოყლაბია... ფინჩე ატყაზათ...
შეყვარებისარ გოგო, აი, პირი არ დაწვას ფინჩას. — სიცილით ამ-
ბობდნენ გოგოები.

— არა, პასუხი მაინც მიეწეროთ. — სთქვეს ერთმანად. კოლექ-
ტიურად დასწერეს: ფინჩა. სიყვარულს რა სჯობია, მაგრამ შენ
ჩვენი რჩევა არ დაიჯერე, კოლექტივში არ იმუშავე, ზარმაცის შე-
ყვარებისათვის კი არ გეცლია.

— არ გცალიათ და, ამ ჩემ ფეხებს. სიყვარული თავის გზას მო-
ნახავს. — სთქვა ფინჩამ და ხელები ჩაიქნია. გოგოებმა არ დამა-
ლეს ფინჩას სიყვარულის წერილი. მეზობლები, დიდი და პატარა
ახელებდნენ ფინჩას.

— კაია სიყვარული ფინჩა? — ხშირად ეუბნებოდნენ მას.

*
*
*

ფინჩამ სოფელი მიატოვა. ქალაქში გადმობარგდა. ისევე თავი-
სი ცნობილი ტანსაცმელით. მხოლოდ ცოტა ცვლილება შეიტანა.
ახალუხში ყავისფერი საყელო გაიკეთა ვარდისფერი გალსტუკით.
ქალაქში უგალსტუკოთ სიარული უხერხულად იგრძნო. იმ სახლის
ეზოს მობინადრენი, სადაც ფინჩა მოეწყო, გაკვირვებით შეყუ-
რებდნენ ფინჩას. ფინჩა მათ მალე დაუახლოვდა. გაიცნო. აქაც
სიყვარულის ცეცხლი ინთებოდა ფინჩას გულის ყოველ კუნტულ-
ში, (იქაც, რომ ადგილი აღარ იყო სიყვარულის ნაპერწკლები
ღვიძლ-მაგარაშიც და კუჭშიც გადავიდა.).

— ცაზე ღმერთს დავიჭერ და სიყვარულთან ფრთად მოგიძღ-
ვი. — უთხრა მეზობლის ერთ ქალს.

— თქვენ მიირთვით საკუთრად. — ცივად უბასუხა ქალმა.

— საცივებით გემრიელია თქვენი თვალები, კამეჩს მაგონებს
თქვენი მწყერივით გავლა-გამოვლა. ყურების რა მშვენიერი მოსაყა-

ლი ჰქონათ, გენაცვალოს ფინჩა, მიყვარხარ. — აუხსნა სიყვარუ-
ლი მეორე მეზობელს.

და ასე ამგვარად, მრავალ მეზობელს შესთავაზა თავისი ხელი
ფინჩამ, მაგრამ სიყვარულის ანთებულ ნუგუზალზე არავინ დაუ-
ფრქვია თანხმობის ცრემლები.

აქაც უბედოდ იტანჯებოდა ფინჩა. ამ ქალს ისე ვატყობ იკად-
რებს ჩემს სიყვარულს, იკადრებს, დიახ... დასწერა ფინჩამ წერილი
და იმ ქალის აივანზე აიციკვა. მოაჯირს მიაწვა. მოაჯირი ქაქტის
მიერ ახალი შეკეთებული იყო. ის უცებ მოძვრა და ფინჩამ ქვედა
სართულზე გააყენა ბრაგვანი. გულწასული ფინჩა მეზობლებმა
ძლივს და მოაბრუნეს. თავის ოთახში შეიყვანეს. ძირს ქალაღი
ნახეს. ხმამაღლა წაიკითხეს:

თინიკო, შენი გულიზა სოფელი დავტოვე. სიყვარული კისერში
მაწვება და მახრჩობს, საქმელის ყლაპას მიშლის, თქვენც მატყობთ
თუ რაჩივ მიყვარხარ. მეტი რა გინდა, გუშინ დილას საცვლების
ამარა პირდაუბანელი დავდექი შენს ფანჯრის წინ...

შენი ფინჩა.

თინიკომ შეურაცხყოფილად მიიღო ეს. ვინა. ფინჩა? ჰმ.. ვნა-
ხოთ... ჩემი შეურაცხყოფისათვის პასუხს აგებს. — სთქვა თინიკომ
და საქმე სასამართლომდე მივიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ფინჩამ სასამართლოს უწყება მიიღო.
მეზობლებს შესახდევით თითქოს ვერ აიტანა ეს შეურაცხყოფა.
სიყვარულზე ყველგან უარი, დამტვრევა, სასამართლო. გაბრაზე-
ბული წამოხტა. ჩექმები ჩაიკვა და საცვლებზე მხოლოდ ჩოხა გა-
დაიცვა. გარეთ გამოვარდა. ფინჩა დაღის მტკვრის პირად. ღე-
ლავს. არა, აქ, არ შეიძლება, ქვებია, ფეხს ვიტყენ. იქ წყალია დი-
დი. ისევე ხილზე ავალ. ავიდა ჩელუსკინელების სახ. ხილზე. შუა ხი-
ლიდან მტკვარს გაუსწორდა. გადახედა, წყნარად მონარნარე
მტკვარს. ჩექმები გაიხადა, ჩოხა გაიძრო, ხიდის მოაჯირზე გადა-
კიდა. პირჯვარი გადაისახა, ფეხი მოაჯირზე შესდგა. ის არის უნ-
და გადახტეს, მაგრამ — ჩექმები, ჩოხა. ესენი ხომ მრჩება. მერე
წყალი ხომ ცივია. გავცივდები. ჰმ, ბრიყვები, მართლა თუ ჰგონი-
ათ, რომ თავს დავიხრჩობ — ასე მსჯელობდა ფინჩა, რომ მეზო-
ბემ წივილა დაუსტვინა. ფინჩამ ხელი წამოუხსა ჩოხას, ჩექმებს
და პირდაპირ ბინისკენ გაქცევა დააპირა.

მას მისი მეზობლის შინამოსამსახურე (მარტო ეს გოგო იყო ეზო-
ში დარჩენილი, რომლისთვისაც ფინჩას სიყვარული არ აუხსნია).
შეეფეთა.

— რა დავემართა ფინჩა?

ფინჩას ბევრი ფიქრი არ დასჭირებია, უხერხულობიდან გამო-
სავალი ხელად გამოიხსნა და უთხრა:

— ჩემო სულის კლაპიტონო რამდენიმე წელიწადია მიყვარხარ,
ვერ გაგიბედე მეთქვა შენთვის და თავის დახრჩობა გადავწყვიტე-
ივანიკა.

ნაფკა, რომელიც არ ასკუდრება

ქვემო ქალაღის (ფოთის რაიონი)
საექიმო პუნქტის გამგე ლ. ქანთარია
მეტ დროს ქეიფს ანდომებს.

მნანველი.

ორი ქალი მოდიოდა
ხონია და კესო,
ერთმანეთს ეუბნებოდნენ
შენ რას ნატრობ დღესო.
იმას ვნატრობ გენაცვალე,
მე ის მაღარდებსო,
რომ ექიმი ქანთარია
მთვრალი არ დაგვხვდესო.

მიხი.



ქიმიკი და ვასკანა



ქართული
ლიტერატურა

აღამიანი და ტანსაცმელი

კაცს ჯორის ნალის გამძლეობა აქვს, ყველაფერს აიტანს, ოღონდ აბანოში
ნუ შეუშვებ.

ვასტაბუქას ნათქვამი.

აი, რა მოგვითხრო ამას წინად, ვასტაბუქამ, ერთი საყურადღებო ამბის შესახებ.

საქმე თურმე სამკერვალო ფაბრიკიდან დაიწყო. ჩვენს ძვირფას შიშტიბუქას, რომლის სიმაღლე სამ მეტრს ასი სანტიმეტრით სჭარბობს, მკერავის მე-ნ ფაბრიკისათვის კოსტუმი დაუკვეთია. დაკვეთის თარიღი არც თვით შიშტიბუქას და არც ნეტარსახსენებელ დიდდამის პასკენჩას აღარ ახსოვთ. რაც შეეხება კოსტუმის გამოხსნას, ეს ამბავი ერთი კვირის წინად მომხდარა.

— ეს არაფერია, — გვითხრა ვასტაბუქამ, — ამას რომ უარესი ამბავი არ დართოდა ზედ.

და გვიამბო:

— დაიხსნა კოსტუმი უსინდისომ, აიზომ-ჩაიზომმა, შარვლის ტოტები მუხლებზე დაადგა, პიჯაკის სახელოები — იდაყვთან და ამიხირდა: გინდა თუ არა, უნდა გამომართვა, შენზეა ზედ გამოჭრილი, მეგობარი ხარ, ვაგინდარას როგორ ვახეირებ, შენ უნდა მოგყიდო.

მომყიდა კოსტუმი და იმავე დღეს ამიხირდა: გინდა თუ არა აბანოში წავიდეთ, დაუბანელ ტანზე აფსუსია მაგ კოსტუმის ჩაცმაო.

დავთანხმდი, წავედით.

შიშტიბუქამ თან ნავთქურა და ნახევარი ფუთი ნავთი წამოიღო. გავიყინებითო, — დაიჩემა, მაგრამ მოტყუვდა: იმ დღეს ცეცხლფარეშს შემთხვევით წყალი გაეცხელე-ბინა.

მე მოვეწონეთ თუ ჩემი კოსტუმი არ ვიცი: დიდებულად მიმიღეს აბანოს მსახურებმა, თავის საკუთარს ხელით გამხადა კოსტუმი ზეწრების პასუხისმგებელმა, კოსტუმს თვალი გადაავლო და მკითხა:

— ცოლშვილი როგორა გყავთ, ბატონო?

შემდეგ საიდანღაც ტანსაცმელის ჩოთქი მოიტანა, კოსტუმი გამიწმინდა და თან დაუმატა:

— რატომ არ ილიმებით ბატონო, ხოხ არავინ გაწყენინათ?

მე ხმა ამოუღებელივ გავიძრე ტანზე, შიშტიბუქას თვალით ვანიშნე და საბანაოთ შევედი.

მუხლისთავეები ვერც კი დაუფარა საცოდავ შიშტიბუქას აუზის წყალმა, ოთხათ მოიკეცა შიშტიბუქა, აუზში გაწვა, წყალი პირამდე ამოიყვანა და მეც ვისკუბე.

— ჭუპა, ჭუპა, სუქი, სუქი, ტუკნა, პუკნა, ფუკა. ჩაყვინთე და ამოყვინთე ჩემო შიშტიბუქა...

ვლიდნებდი ტკბილად, რომ აბანოში მომცრო ტანის ვიღაც მოქალაქე შემოვიდა; ხელში კასრი ეჭირა, კისრიდან ფეხებამდე ტალახით იყო გათხუბნული, თმები მგლისგან შეშინებულ ღორის ჯაგარივით ჰქონდა გაშეშებული და ეტყობოდა დალაქთან მწყურალად იყო.

— მექისე! მექისე! — დაიძახეს ვილაყებმა და ყველამ დასამალავი ადგილის ძებნა დაიწყო.

— გთხოვთ, — რევეგრანსით შემთხვევა მექისემ და ტახტისაკენ მიმითითა.



— აბა, შენ იცი და შენმა ვაჟაცობამ, ვნახოთ როგორ, დამბან, — მივმართე, — მექისეს და ტახტზე გავიმოტე.

— ჩემი ვაჟაცობა მარტო რას კმარა, ვაჟაცობა შენზეა დამოკიდებული, — სიტყვამან და დაუმატა: — იცით, ამ რამდენიმე დღის წინად ერთი ცენახოთ, ბოლოლო ვინმე მოვიდა; ცილინდრით, ტროსტით, გალსტუკით, რამით; მეც მარიფათი გამოვიჩინე, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაჩალკა, მასაჟი, ბუჟუჟი, რამე, ერთი დუჟინი ტარო წაუსვი, ნახევარი დესიატკა ზეწარი მოვახურე, მოკლეთ ცილინდრი და ტროსტი რომ შეგთავაზებ ჯიბეზე ხელი გაიკრა, მეც კიდევ გავიტრუნე ნაჩაის მოლოდინში.

იმან ჯიბეები მიჩხრიკ-მოჩხრიკა და მეზნევა: ამისთანა ფინთი რამე გინახავს, კაცო? ცოლმა აბანოს ფულის მეტი არ გამომატანა, არ იქნება სამი შაური მასესხო ტრამეისთენ? მისამართი მოგცემ, თუ გეშინია სახლში მოდი და თუ გინდა მერე აბაზი მოგცეო. მე ბრაზისგან ფარსუნკასავით ავინთე და ვებნევი, თუ რაკი ეგრეთი ჰკვიანი ცოლი გყავდა თან ვერ წამოიყვანე? ჰამ დაგბანდა და ტრამეის ფულიც აღარ დაგჭარდებოდა; იმან გაბრაზდა და ამბობს: პატრებიტელეს ფინთი მომსახურებას უშვრებითო, ჩქარა ეალობნი კნეგა მოიტანე და თან კარანდაშიც არ დაგავიწყდესო.

უნდა გენახათ რა ექსტაზით ჰყვებოდა ამ ამბავს მექისე. მელაპარაკებოდა, მბანდა და თან ცრემლებს იშვინდდა თვალებზე.

უგუნებოთ დამაყენა მექისის ასეთმა ლაპარაკმა: მივხვდი რომ მისი სიტყვების შრამ-ნელები ჩემი ჯიბის არსენალს ემუქრებოდნენ. ვფიქრობდი: ანასუნი შენს საქმეს ვასტაბუქავ, რა გეკასტუმებოდა, ვინ გატანდა ძალას, ან მეაბანოებს რატომ დააღუპინე თავი, ანდა უკაპეიკოდ რატომ დარჩი-მეთქი.

ნახევარ საათს მსგება მექისემ, ცხრაკეცი ტყავი გადამაძრო და მკითხა:

— თქვენთან გუშინ იყო ჯამაგირი?

— არა! — მივუგე.

მექისემ საშინლად დამიბღვირა, ამოიხარა, ნახევარკასრი წყალი გადამავლო და „გაამოსო“ წაიბუტბუტა.

კინაღამ ციებ-ცხელება დამჩემდა: საშინ-
ლად მაკანკალებდა იმის შიშით, თუ როგორ
გავძრომობდი მექისეს, შიშტიბუქას ხარჯზე
უკაბიკოდ მისული აბანოში.


შიშტიბუქა მეუბნება:

— ჩემო ვასტაბუქ, შენ რო იჭუპუჭუპე,
ჩემს ტანზე ჯვარი ხომ არ აქვს დაწერილი
უსუფთაობას, მოდი დამბანე, როგორი შე-
გობარი ხარ, ასე მაღე დაგავიწყდა რომ კას-
ტუმი დაგიტე?!.

მეტი რა გზა მქონდა: კასრი კასრზე შეე-
დგი, ავამალე, შიშტიბუქამ ამიყვანა, კას-
რებზე შემსვა და დავიწყე შინაური მექისე-
ობა.

ჯერ ნახევარი ზურგიც არ დამებანა შიშ-
ტიბუქასათვის, რომ ვილაღის ხელებმა გამომ-
გლიჯეს მეგობარი. აბანოს ოთხმა თანამშრო-
მელმა მორივით გაიღო მხარზე შიშტიბუქა,
მექისის ტანზე გადასვენეს და დაბანა და-
უწყეს. თან მეუბნებიან:

— თქვენ რაზე სწუხდებოდით ბატონო,
ვერ გვიბრძანეთ, რომ თქვენი ხაზინი იყო
ეს კაცი?!



გუყურებდი ამ სურათს და შიშტიბუქაზე,
მეტად ჩემს კოსტუმს ვლანძღვდი, კოსტუმს,
რომელმაც ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში
ჩამავდო.

გასაპნეს შიშტიბუქა და რა ნახა ჩემმა და-
საბრძანებელმა თვალებმა:

წყალი შეწყდა აბანოში. აუზი თვალის
დახამხამებაში დაიწრია, ღუშები შეჩერდნენ
და მხოლოდ ნახევარკასრი წყალი-და ღარჩა
მთელს აბანოში, შიშტიბუქასათვის შენახუ-
ლი წყალი. დიდი თუ პატარა, გასაპნული
თუ გაუსაპნავი, ყველანი ამ კასრს დაესი-
ვნენ და შეიქნა დავა-დაკა. შიშტიბუქამ ჰაერ-
ში აიტაცა კასრი, დაესივნენ მობანავეები,
მაგრამ ვინ შესწვდებოდა! მე მეცინებოდა
შიშტიბუქას რომ ასეთ მდგომარეობაში ვუ-
ყურებდი. და სიცილი ტირილათ გადამექცა:
ვილაღა მობანავემ მეორეს უზურგულა, შე-
ახტა ზურგზე ეს მეორე და ხელიდან წას-
ტაცეს კასრი შიშტიბუქას.

გასაპნული დამრჩა შიშტიბუქა და ჯვარი
მხოლოდ იმაზე ვიყარეთ, რომ ერთი მაგრად
დავეყუეთ ჩვენი მოქიშპე მობანავეები. შიშ-
ტიბუქას დახუჭული ჰქონდა თვალები, სა-
პონმა დაუწვა უბედურს, მაგრამ მაინც მდე-
ვივით იდგა მოჩხუბართა შორის და ითვლი-
და ვის რამდენს გაარტყამდა.



როგორც იყო დამთავრდა ბრძოლა.
და იმის ფიქრმა შემიპყრო, თუ როგორ გა-
მებანა საპნისაგან შიშტიბუქა.
ბევრი ფიქრის შემდეგ ერთმა ბოთლმა სიტ-
რომ ისხნა შიშტიბუქა. დავბანე შიშტიბუქა
და კმაყოფილები გამოვედი ტანსაცმელის
მისაღებად.

აქ კი შემდეგ უბედურებას წავაწყდით:
შკაფი, რომლის ნომერი მეაბანოს არ მო-
უცია და ზებირად დახსომება გვთხოვა, ვი-
ლაღის ბოროტ ხელს დაეჩემებინა და ჩემი
ნაშიშტიბუქარი კოსტუმი „დასაუთოებლად
წაეღო. საშინელი ჩხუბი აცტეხეთ: მექისეს
დავებრალე კოსტუმის მოპარვა, ვირბინე, ვი-
ლანძღე, მაგრამ არ შეგვკამოსთ ჭირმა არა-
ფერი გამოვიდა. გამგე მოვითხოვე, გადამი-
ხადოს მეთქი:



— გამგე სახლში წავიდა ბატონო ტანის
დასაბანად!

წამოვედი. გამგის ნახვა და დავა მეორე
დღისათვის გადავდეთ.

კოსტუმის დაკარგვა ძალიან დამენანა, მა-
გრამ მექისის ვალს რომ გადავრჩი მიხაროდა
კიდეც.

— კი, მაგრამ, თუ კოსტუმი მოგპარეს,
ზედ რომ გაცვია ეს როგორ მოხდება? — შე-
ვეკითხეთ ვასტაბუქას.

— ეჰ, მაგის ისტორია თქვენ რომ იცოდეთ!.

— ჰო, რა ისტორიაა ასეთი?

— გიამბობთ?..

— გვიამბე, გვიამბე ვასტაბუქა!


და ვასტაბუქამ დაიწყო:

— ღარდით სამი ღამე არ მძინებია, მეოთ-
ხე ღამეს გათენებისას, ვხედავ ჩემს ლოგინ-
ზე რალაც შავად მოსჩანს, ქურდია არ უნ-
და ლაპარაკი. ფრთხილად გამოვედი სასთუ-
მალიდან ნაჯახი, (რომელიც მომარაგებული
მაქვს ასეთი შემთხვევისათვის), მოვიმარჯვე
ხელში ყუთით და რაც ძალი და ღონე მქონ-
და დავკარი ლოგინზე რომ იყო განაბული.

დავკარი და მოვეყე ყვირილს: არიქა
ქა ხალხო, მომეშველენით, ქურდი მოგვალი-
მეთქი.

დერეფანი მეზობლებით აივსო. გამოჩნდა
მილიცია. სასწრაფო დახმარება... გაანათეს
ოთახი და რა ნახეს!

— ჰო!



— ბოხჩა, გახსნეს და შიშტიბუქა კოსტუმი
აღმოჩნდა გახვეული. პიღუკზე ასეთი შინა-
რისის ბარათი იყო ქინძისთავით მიმაგრებუ-
ლი:

„ძვირფასო დაზარალებულო! მე ვნანობ
ჩემს საქციელს. დიდი დანაშაული ჩავიდინე,
მე სასჯელის ღირსი ვარ. არა, რა ეშმაკი
შემიჩნდა, რომ თქვენი კოსტუმი მომპარე-
ნა. სად მქონდა ჭკუა, სად მქონდა თვალი.
შე კერა გაციებულო, რა ჯიშის ხარ, შენ
ამოვივარდა. ჯილაგი, ქონდრის მოდგმის
ხომ არ ყოფილა შენი წინაპარი რომ შენი
კოსტუმის საგო კაცი არ მოიძევა ამ ქვე-
ყანაზე. სამი დღეა ვატარებ მაგ შენს კას-
ტუმს. ყველა ბაზარი ვემოვატარე და ვერსად
გავყიდე. „მაღალხარისხიანობის,“ ჯამო პო-
ლის ტილოთაც კი არავენ იყიდა. ტრამვაის
და სიარულის ფული მაინც დამიბრუნე შე
ოჯახდასანგრევო:

შენზე უარესად დაზარალებული—ქურდი“.

— მე რა ქენი, არ მიეცი ტრამვაის ფუ-
ლი? — ლიმილით შევეკითხე ვასტაბუქას.

— როგორ მივცე, ვეძებ და ვერსად ვნახე.
— მოგვიგო მან და თვალზე ცრემლები მო-
იწმინდა.

მიხ. გოგიაშვილი გ. ივანიშვილი.

ფიცი გნამს, ბოლო მაჯიკებს...

ლანჩუთის რაი აბრეშუმის გამგემ
ა. ოსიპოვმა მიითვისა 13 კილოგრამი
ლურსმანი და სხვა ნივთები.

ნახ. დონისა



— მე მწამს თქვენი ფიცი, რომ მაგას არ
ჩაიდენდით.

— ფიცი კი გწამს, მაგრამ ეს ოხერი ბოლო
მაჯიკებს.

ბოლიანის ანკეტიდან

იცნობენ მატარებლის გამცილებელს ბო-
ლიანს? იცნობენ, მაგრამ მისი დაწვრილები-
თი ბიოგრაფია ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის.
ამიტომ საჭიროდ დავინახეთ მკითხველს გა-
ვაცნოთ ბოლიანის მიერ შევსებული ანკეტის
ნაწილი.

გვარი — ბოლიანი.

ხელობა — ძირითადი, — გამცილებელი.
შეთავსებით — მექრთამე.

რომელ მატარებელზე და როდის აიღეთ
ქრთამი — ბევრჯერ, უკანასკნელად კი სა-
ფოსტო მატარებელ № 74-ზე, რუსტამ რუს-
ტამოვი წამოვიყვანე უბილეთოდ.

რამდენი ჯილდო გაქვთ მიღებული — მექ-
რთამეობისათვის ბევრჯერ უნდოდნა ჩემი
„დაჯილდოვება“, მაგრამ სათანადო საფონ-
დის უფროსი ლეჟავას წყალობით ვერ სერს-
დებო. ვეცოდები.

ჩასწერეთ კიდევ რას იტყვით დამატებით.

ანკეტის ეს უკანასკნელი მუხლი ბოლიანს
არ შეუვსია. მხოლოდ ჩვენ ვავსებთ მას.

— ა. კ. რკინისგზების პოლიტგანყოფილ-
ბამ მექრთამე ბოლიანს უნდა მოუშალო
რკინისგზის უწყებაში ბოლიალი.

მაყურებელი

ღაპრითიანის სიმღერა

თელავის ფოსტის გამგე ვარ,
გამგე ყველასგან „ქებული“,
უქნარა, ცუდი მუშაკი,
მთქნარებით გასუქებული.
დიდი, პატარა მიჩივის,
მაყრიან ჰრისხვა-მეხსო,
კვირაში მხოლოდ ერთხელ რომ
ვაწოდებ გაზეთს გლეხსაო.
გაზეთს კონებად ვალაგებ,

გამგე ვარ ასე მნებასო,
გლეხებს გაზეთის წაკითხვის
არ ვაძლევ საშუალებასო.
ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი;
მიყვარს პირ წმინდა ყანწები
და მათი ხელში ტრიალი.

ს. კონდორელი

ტატიანის ღაპარი

(ტყიბული)

სოფელ დაბადველს უწყიან,
დიდი ტყიანი რამეა;
წარმოიდგინეთ, დღითაც კი
წარბზეუხრელი ღამეა.

ცოლი შეურთავს სოფელში,
ბავშვებიც ბლომად ყოლია,
მხიარულია მარადუამს,
არ იპურობს მელანქოლია.

ბოლოს სად იყო, სად არა;
ბავშვებს „ყვავილი“ ეწვია,
ღმერთს შეევედრა ამროსი,
ბირში გაუშრა ნერწყვია.

მოდო მიუძღვნათ ამროსის
ჩვენგან რაც ეკუთვნებოდა.



არტელის თავმჯდომარეა,
ხალხი აწუხებს მიღეთი,
კომუნისტია, ჯიბეში
აქვს პარტიული ბილეთი.

არც სხვა საქმეებს აფუტებს
დანათლა თავის ბავშვები,
მღვდელს ფული ჩაუთვალა და
ფეშქაშად მისცა ვაშლები.

მარად მოუხმო მკითხავენს
ხუცების ჯოჯი მოდენა,
თვალზე ცრემლები სდიოდა
საზამთროების ოდენა.

— უნდა დაგაბათ ამროსი
ბატონებს იამებაო,
იკურთხოს მათი სახელი,
შენ არა დაგაკლდებაო.



ამროსიც იქ ცხოვრებულა
გვენეტაძეა გვარადა,
ღმერთის ერთგული მსახური,
ჩამოვარდნილა ბარადა.


აპრილში დედა მოუკვდა,
მღვდელთან მიიჭრა ცრემლითა,
აკურთხებინა მოხუცი
გაფართოებულ მრევლითა.

ტანზე გააძვრეს სამოსი,
უელში ჯაჭვები ჩააბეს
სამი დღის განმავლობაში
მაგიდის ფეხზე დააბეს.

დავსვათ ქონიან ნიჩაბზე
სანამ მღვდლად ეკურთხებოდა.

აპ. თუშელი





ვატმანი: — სამოქმედოთ აღარ მყოფნის
აღარც ფართე ლიანდაგი,
მოდი ერთი ამ ეზოშიც
გამოცვალა ნიადაგი.

(ლაბა შორაბანი).

ბეზაზაზაზაზაზაზაზაზაზა

ბეზაზაზაზაზაზაზაზაზაზა
აქ მუშების მე ვარ თავი,
ანგარანში ხალხი მიზის,
საუცხოვო სანახავი:

კატო, მარო, ქეთო, შურა
და ლადიკო მოხმატებილე,
ბუხალტერი „ვიდიანი“
და ქალეზზე მონადირე...

ჯამაგირი, რას მიშველის? —
ყმაწვილი ვარ ხელგაშლილი,
ამიტომ მყავს ეს გვრიტები
ხალტურაზე დაგეშილი...

ხოდა მუშა როცა ჩვენთან
ნაკლს აღნიშნავს რამეს სიხვის,
ნურაფერზე უკაცრავად,
თუ მას შევხვდით მუშტი-კრივით.

წიფლავაკელი.

ნიანგის ღაპაღაპის შესასრულებად

დიდი ზარმაცი ვინმე ვარ. თუ ვინმემ კეტი არ დამარტყა, ძალიან იშვიათად რომ ფეხი დაეძრა ადგილიდან. დავჯდები და ადგომა მეზარება, ამდგარი ვარ და დაჯდომა მიჭირს.

ეს ჩემი სიზარმაცე დღეს ყველამ იცის, ყველას სჯერა, მაგრამ ნიანგს აბა რას დააჯერებს კაცი? რაკი ერთხელ ჩავითრევს მის წრეში, მორჩა და გათავდა, საშველს არ გაგართმევს, არც შენ სიზარმაცეს დაგიდევს და არც სხვა რამ მიზეზი სწამს. უნდა უგზავნო და უგზავნო ძღვენი კარგ ნათლულივით. გაქვს, არ გაქვს, შეგიძლია, არ შეგიძლია, კუდზედაც არ ჰკიდა. რალა ჩემდა საბედისწეროდ რამდენიმე საკბილო გავუგზავნე ერთხელ. როგორც სჩანს, მოეწონა, შემაქო, წამაქეზა და ისე მომინადირა, რომ რაც რამ გამაჩნდა ყველაფერი გადაუგზავნე. არ დამიტოვებია არც ერთი მღვდელი, არც ერთი ვაჭარი, არც ერთი ბიუროკრატი, გამფლანგველებსა და ზარმაცებს ხომ სულ სინსილა გავუწყვიტე. ბოლოს, როცა ასეთები შემომეღია, მეც დავანებე თავი. მაგრამ, თურმე ვინ მოგეშვება. „მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ, შეჩვეულს ნუ მიაკლებო,“ — იტყვიან ჩვენში და სწორი ყოფილა. ახლა, გინდა თუ არ გინდა, ძველებურად უნდა მიგზავნო ძღვენიო. რა უნდა უგზავნო, როცა არაფერი გამაჩნია. მღვდელი წამლად რომ გინდოდეს ვერ ნახავ, ერთი ბერძნის მღვდელი დარჩა და ისეა გაფშოკებული, რომ ნიანგი კი არა რწყილი ვერ იშოვის მის ჩონჩხზე კბილის მოსაფლებ ბორცს.

ვაჭრებიდან სულ არავინ დარჩენილა. მართალია ცოცხლები არიან, მაგრამ როგორ უნდა გამოიცნო, ჩვენი კოოპერაციის განვითარებამ ისე მოუწყო საქმე მათ, რომ ხანდახან თუ წააწყდები ბაზარზე ჩუმად გამოტანილ ნივთებით ხელში.

რაც შეეხება ბიუროკრატებს და გამფლანგველებს, იმათ ხელში ჩადგებას მე ვინ მალისებს, რამდენი ვინმე უცქერის მათ და მიაგნებენ თუ არა ხელად ამაცილიან ხელიდან.

ყველა ეს მიზეზები მე მეგონა გასაგები იქნებოდა ნიანგისათვის, მაგრამ თქვენც არ მომიკვდით.

„გაცნობებთ, რომ თქვენგან საკბილო კარგახანია არ მიგვიღია და წინადადებას გაძლევთ, შეუდგეთ სისტემატურად მათ გზავნასო“.

ოჰო, როგორი კილოთი იწერება. ასე გონია აქ კალო იყოს.

ხომ იცით, ნიანგი მღვდლების, ვაჭრების და სხვადასხვა ჯურის მანებლებისა, დივერსანტებს გარდა ხოჯებსა და მოლებსა გვახლება, ვის უნახავ რომ უნახავ, ვისთვის გინდა აქა-იქ ჯერ კიდევ

დარჩენილი ჩასუქებული ხოჯები, რომ გაგიშვია და ხელს არ კიდებო. ამდენი ხნის განმავლობაში რა იქნებოდა ერთი ორი სამი ხოჯა მოგერთმია, ოთხი-ხუთი მოლა მოგეყოლებია და რამდენიმე მაქაური მკითხავეები და ექიმბაშებიც დაგერთო ზედო“. — მისაყვედურებს ნიანგი.

რას იზამს კაცი. ნიანგმა მიწაში რაა ისიც კი იცის.

ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვესაუბრე ამის შესახებ ცოლს, დაბოლოს გადავწყვიტე ჩამომეველო აჭარის სოფლები და თუ კი სახეირო საკბილოს ჩავიგდებდი ხელში წამომეყვანა.

ასეც მოვიქეცი. გამოცხადდი საქტრანსის კანტორაში და დაუწყე ლოდინი ხულოსაკენ მიმავალ მანქანას. ძალიან დიდი მოთმინების კაცი ვარ, მაგრამ მაინც ამეშალა ნერვები სანამ ბილეთს შევიძენდი. ბოლოს როგორც იყო მეღირსა მანქანაში ჩაჯდომა.

ხულოში ძალიან კარგად მიმიღეს მეტადრე სასტუმროში მცეს პატივი, სამზარეულოს გვერდით მომათავსეს და ისე ვიჟლინთებოდი სამზარეულოდან გამოსულ საკმელების სუნით, რომ მეორე დღეს საკმელი არ მინდოდა. ამ პატივისცემას ზედ ტარაკანების ვარჯიშიც ერთოდა, დავწებოდი თუ არა, შემომეხვევოდნენ აქეთ იქიდან და მეალერსებოდნენ.

ასეთ პატივისცემაში დაეყავი ერთი კვირა. შემოვიარე ახლო-მახლო სოფლები, დავიწყე ხოჯებისა და მოლების ძებნა. აღმოვაჩინე რამდენიმე, მაგრამ ძალიან ცუდ დროს დამირჩა მათი ნახვა. რამაზანი იღვა ვიფიქრე, რად გამოდგება რომ ნათმენი ხოჯა გავგზავნო სანიანგოში, ერთი გრამი ქონიც არ ექნებათ, ბარემ გათავდეს რამაზანი, შემდეგ ამოვალ და წავიყვან-მეთქი — ვთქვი და ხელცარიელი გამოვბრუნდი უკან.

— ძალიან შემეძარხარ ძიავე, ძალიან, — მითხრა გზაში ერთმა აჭარელმა მოხუცმა, — ხოჯები ჩვენ გვიკრძალავენ მარხვის დარღვევას, თორემ თითონ სჭამენ კი არა, ათი ჯერი არ ყოფნით დღეშიო. შუაგზა გამოვლილი მქონდა და დაბრუნება შემეზარა, თორემ ხელცარიელი არ წამოვიდოდი. მერე ის „კურთხეულები“, რამდენია ჯერ კიდევ აქეთ. ნიანგს კი არა მთელ სანიანგოს ეყოფა რამდენიმე წელიწადს.

ამ მოკლე ხანში უსათუოდ უნდა გავემგზავრო ხულოში. ერთი ათიოდე მოლა, ხოჯა უნდა ჩამოვრეკო და გადავუგზავნო ნიანგს. ნიანგის მომადლიერება ათას ხოჯასაც კი მირჩევნია. **პ. ობოლი**

თბილისის სამკერვალო ფაბრიკებში ტანსაცმელს ხშირად არა სწორად
კერავენ.

ნახ. დონისა
გინელორთიშვილი

ვარლამს, სიმპატიურ რაიმეშაკს, შეუსრულდა რაიგანყოფილებაში მუშაობის 14 წელი. ამ თარიღს იგი მოუთმენლად ელოდა რადგან იცოდა, რომ რაიკლებში მისთვის იუბილე მზადდებოდა.

ამ სასიხარულო შემთხვევის გამო ვარლამი რაიუნევერმალში შევიდა ახალი კოსტუმის საყიდლათ: ხანგრძლივი ჯდომის გამო მისი შარვლები ისე გაპრიალებულიყო, რომ სარკის მაგივრად გამოდგებოდა.

და აი, ვარლამი უნივერმალშია, თავის რვა ამხანაგთან ერთად მან მრავალი კოსტუმი გასინჯა, მაგრამ ყველა პატარა აღმოჩნდა: მოგესხენებოთ, ჩვენი სამკერვალოები რატომღაც ორიენტაციას ტან-მორჩილ პირებზე იღებენ; ამით ბოროტად სარგებლობენ მცირეწლოვანი მოქალაქენი და დიდებისათვის შეკერილებს უბოდიშოდ იძენენ და იცვამენ.

დიდი ძეხნის შემდეგ აღმოაჩინეს ერთი დიდი კოსტიუმი, მშვენიერი მატერია, ლენინგრადის შევიოტი.

ვარლამი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ფული გადაიხდა და კოსტიუმი გულში ჩაიხუტა:

— აბა, სახლისაკენ! — მოუწოდა მან ამხანაგებს. და ეს ცხრა კაცი ერთად მიადგა ვარლამის სახლს.

სადილის გამოტანამდე ჩააცვეს ახალი კოსტიუმი. შესანიშნავ ნაქსოვში იუბილიარი მზესავით აღმოაჩნდა. ოღონდ იყო ერთი ნაკლი:

შარვალი აღმოჩნდა მეტად გრძელი: იქნებ მკერავმა იხუმრა ან მართლა გადასწყვიტა, ცხოვრებაში ერთხელ ნორმალური სიდიდის ადამიანის შარვლის შეკერვა. ეს საიდუმლოებაა. ფაქტი იყო მხოლოდ შარვლის სიგრძე.

— არაფერია, დამოკლება! — შესძახა რვა კაცმა.

— კი შეილო, კი, მაგას დავამოკლებთ, — დაამშვიდა დედამ.

— მაგის დამოკლება რა დიდი საქმეა! — გაიღიმეს ცოლმა, რძალმა და ქალიშვილმა.

სადილის შემდეგ „ნაშუადამევს“ სტუმრები წავიდნენ.

დილით, სამსახურში წასვლისას ვარლამმა დაუბარა შინაურებს, ორი გოჯით დაემოკლებინათ ხსენებული შარვალი.

— ჰო შეილო, ჰო. — დაამშვიდა დედამ.

— შენ ნუ გეშინია, ისეთი იქნება, რომ ყველა შენ დაგიწყებს ცქერას, — მიამხა ცოლმა.

მთელი დღე ადფრთოვანებით მუშაობდა იუბილიარი. მას თვალწინ ედგა ახალი კოსტიუმი, შესანიშნავი მატერია, ლენინგრადის შევიოტი, იშვიათი ფერისა და ნაკეთობის.

გულშემატკივარმა დედამ დილითვე გამოიღო შარვალი, მიაკლო ორი გოჯი და ისევ დაჰკიდა შკაფში.

ერთი საათის შემდეგ შემოვიდა ვარლამის მეუღლე (დედაპირი სამხარეულოში იყო) გამოიღო შარვალი და თავის მხრივ მოაკლო ორი გოჯი.

ვარლამის რძალს ამის შესახებ არაფერი გაუგია. ამიტომ, მოათავა თუ არა საოჯახო საქმეები, შევიდა ვარლამის ოთახში, გამოიღო შარვალი და კოხტად მოაკლო ორიოდ გოჯი.

— ალბათ ყველას დაავიწყდა მამაჩემის ნათქვამი, — გაიფიქრა სკოლიდან მოსულმა ვარლამის ქალიშვილმა, — როგორ ესაიმოვნება, როცა გაიგებს, რომ მე ყველაზე უფრო მახსოვს ჩემი მამიკო!

ამის შემდეგ იგი შევიდა თავის მამილოს ოთახში, გამოიღო მამილოს შარვალი და მოაკლო ორი გოჯი. არც მეტი, არც ნაკლები!

გვიან დაბრუნდა ვარლამი, სახეგაბრწყინებულმა სჩქაროდ ისა-დილა და წასვლის მზადებას შეუდგა.

— აბა, მალე ჩაიცვით, იუბილიარი ვარ და ჩემი დავვიანება სირცხვილია. — აჩქარებდა იგი შინაურებს.

აეტო რომ მოვიდა, უკვე ყველა ჩაცმული იყო. გამოიღო ვარლამიც.



მუშტარი მკერავს: — ერთი მითხარი გეთაყვა, პროკლე ეს ცალი ტოტი რად არის მოკლე?

მკერავი: — რომ შეაჯამო ეს ტოტი ორი და შუა გასჭრა, გამოვა სწორი! აქ მოსჭერი და იქ მიაკერი და ტანზე მხოლოდ ჩაიცვი მერე.

მაგრამ ვაი ასეთ გამოსვლას: ამ დიდებული მატერიისაგან შეკერილი შარვალი მუხლამდე ძლივს სწვდებოდა იუბილიარს...

— რა მიყავით, რაზე დამკალით?... მე გითხარი ორი გოჯი, ქვენ მოგიკლიათ არშინახევიარი!.. პიონერი ვარ თუ ოქტომბრელი!..

— უი, ჩემი სიკვდილი! მე ორი გოჯი მოვაკელი! — წამოიძახა დედამ.

— მეც ორი მოვაკელი! — იკრა ხელი თავში მეუღლემ.

რძალს და ქალიშვილს აღსაფრთი უთქვამთ. ან კი რა საჭირო იყო. ისედაც ცხადი იყო, რომ აქ რამდენიმე ადამიანის ხელი მოქმედობდა.


— წამოდი, ახლა რაღა დროსია, — გაუწყრა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე.

ხანგრძლივად გულწასული ვარლამი შოფერთან დაჯდა.

— რა ღმერთი უწყრება ამ სამკერვალო წამოწყებებს, — ეუბნებოდნენ ერთიმეორეს მაყურებელნი. კაცი იუბილიარია, ახალი კოსტიუმი უყიდა! შეხედე, რა შარვალი აქვს, პიონერს არ გავს?!

იძულებითი პიონერი კი ავანსცენაზე იჯდა ელდნაკრავი და მუხლებამდე ამოკაპიწებულ, მამლოცავენ მადლობას უძღვნიდა.

ბაზი — ვახი.




ქართული
გიგლირთა



1. არავის შეეშინდეს, არ წუთში შეიღ ავღიბობის დეკორაჟი და ისევ გაველიძე! — განაცხადა რაიონის თეატრში საცდელიად ჩაბოლებმა პანტომაში ალა-ბეგი.



2. და დაიწყო პანტომა სენსი. მაღალი მატის უშვებდა ალი-ბეი თვლებიდან „გაილანტის სიგელს“, მით უფრო უფრო და ხალხი იმთავითვე გაიღვიძეს, ვასე აქამდე ზუნებდათ ძლიერ ტიხილი.



3. რად წავალ მეგობარო, — თხრა ალი-ბეის ავღილობრივმა პოეტმა ბიბო კვინტა-ტი — ამ ხალხს მე დავაინტერესებ, მაგათ გამოღვიძების თუ თვედ აიღებთ ვალად!



4. შეიანბნენ, გამოვიდა პოეტ ბიბო კვინტატი, საუბარი ლევის კიბზე დაიწყო და ჯერ ნახევარი ლევი არ ჰქონდა წყობილი, რომ თეატრის ტბილის ძალით დავიძინა.






5. მაგრამ საშინელი რამ მოხდა: პანტომა დაიწყო დანახვა, რომ თეატრის საცდელში ჩავარდნენ თეატრის მესვერები.



6. და აი, ტრამა ავღილობრივმა პოეტმა ბიბო კვინტატი გამოვიდა ხალხი მგვილად — ბიბო გამოვიდა სენსი, რომელიც რომელი „გაილანტის სიგელს“, მაგრამ ბიბო კვინტატი და ვინ ვის გასწრებდა აღარ იცოდნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



არჩვენების უმღღ




(„ავანგარდ“ ბარიზი).

რესტორანში



— ეს ბიუტესი კი არა ტყავის ნაჭერია!
— ნაჭერი იქნება მაშ მაგ ფასად მთელ ჩექმას ხომ არავინ შე-
გაუმღვს?!..



ახალი სისტემის ავტო მანქანა — „ასწიეთ
ხელები“, რომელიც მზად არის მგზავრობის
დროს თავდასხმის შემთხვევისათვის.

შიგ თარიღობს...

წნორის რკინიგზის სადგურის მ.
ფეტში უსუფთაობაა, შიგ ირევიან და
ლები, თხები და ღორები.

ეს ამბავი მართალია,
არ გვეგონოტ კორი,
ბუფეტის წინ, დიდ აბრაზე
აწერია — წნორი.

(შიგ თარიღობს ძაღლი, კატა,
თხა, ცხვარი და ღორი).
კოვზებს ჟანგი მოდებია,
შეუცვლია ფერი.

მაგიდაზე ერთი გოჯი
დევს ყვითელი მტვერი.

ხალათი როდის გარეცხეს, —
შიმტანებს არ ახსოვს.
ვიტრინაში ქათამია
18 მანეთს ფასობს.

წნორიან საკმელს თუ მოითხოვთ
ხორცი შიგ არ არი.
აქ ბუფეტის ხელმძღვანელის
ლომიძეა გვარი.

წნორელი.

წახ. კანდელაკის

ხაშური (ტელეგრაფით ნიანგორიდან). დღეს თქვენი თანამშრომელი სასაუბროდ ჩიქო სევერიანე ყრუაშვილმა. გადმოგცემთ საუბრის სტენოგრაფიულ ჩაწერას.

— სად მუშაობდით წინათ?
— მოლთში, კოპერატივის გამგედ.
— რატომ დაანებეთ თავი იქ მუშაობას?
— მომხსნეს და პასუხისგებაში მიმცეს.
— რატომ?
— სიმინდი „გაიმასვექენი“.
— გაზღვევინეს თუ არა?
— სახლი ამიწერეს, მაგრამ ვერაფერი დამაკლეს.
— ამის შემდეგ სად მუშაობდით?
— შორაპანში სალიანდაგო კავშირის თავმჯდომარედ.

— დაგაწინაურეს?
— სანამდი დარჩი ამ თანამდებობაზე?
— მოხსნამდის და პარტიიდან გარიცხვამდის.
— რატომ?
— გაფლანგვისათვის.
— შემდეგ სად მუშაობდით?
— ხარაგოულში რკინისგზის მუშათა სასადილოს გამგედ.

— თქვენი მოღვაწეობა აღნიშნულ სასადილოში?
— ზორცს ვიძენდი კილოს 3 მანეთად, ზოლო ტრანსპორტს ვაწერდი 5 მანეთს, რომელმაც დიდი მოგება მომცა.

— რომელ სახელმწიფო დამზადებას აბარებდი ტყავს?
— კერძოს, ზესტაფონში, შალვა ხაუომიას. რადგან ჩემთვის ეს უფრო ზელსაყრელი იყო.

— ამჟამად სად მუშაობთ?
— ვარ ხაშურის საორთქლო დეპოს სასადილოს გამგედ და ასეთსავე თანამდებობაზე ხარაგოულშიც.
— როგორ ახერხებთ ორ ასეთ დამზადებულ აღ-გილზე მუშაობას.

— ხარაგოულში ჩემს მაგიერობას ასრულებს ჩემი რწმუნებული, იგივე ჩემი ცოლი.

— თქვენ ვინ ხართ?
— მე ვარ ნიანგორი.

— ამის გაგონებაზე სევერიანეს ელდა ეცა, გული შეუღონდა, მაგრამ გადაჰყარა ერთი ჭიკა არაყი (არა ისეთი, რომლითაც მომხმარებლებს უმასპინძლებოდა, არამედ ნამდვილი არაყი!) და გონზე მოვიდა.

— მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ამხ. ნიანგო, რომ მას და მის მფარველებს ეს წერილი გონზე უფრო მოიცვანს.

„ნიტროგენი“

ინკოოკ-არბელმა „ოკრიბამ“ არამზადები მოკრიბა.

ტყიბულის ინვალიდთა კოოპერატიული არტელ „ოკრიბაში“ ინვალიდების სახელით, ლადო ჭარქაშაძემ თავი მოუყარა ყოფილ ვაჭრებს. არამზადებს და სოცულურწველყოფის ადგილობრივი ორპირებს. რომელთაც მფარველობენ ზოგიერთი მუშაკები.

მოდით შემოკრებით ბიჭებო მწვადი ვჭამოთ და ღვინო ვსცათ არტელ: „ოკრიბის“ ფულები; რა გვენადვლება შეილოსა. ასე მღერიან ღლედალამ ტყიბულის „ინვალიდები“ და ლადოს მფარველ გერონტის იხსენიებენ დიდებით. ლადო კი ამ გუნდს უფროსობს (ჭარქაშაძეა გვარადა) ნეტა სანამდე იძახებს ეს გუნდი ოსავარადას?

ჯერესა



- ამ ქალის გაცნობა რომ შემეძლოს ავშენდებოდი!
- როგორ, ძალიან მოგწონს?
- კი არ მომწონს, კოოპერაციის ნათესავია!
- თუ არ იცნობ საიდან იცი, რომ გამგის ნათესავია?
- რა ცოდნა უნდა, ტანსაცმელზე არ ეტყობა?

გ ე მ ო ც ა ნ ა

(ბორჩალოსათვის).

საგზაო განყოფილებას
ის განაგებს კარგა ხანი,
და საქმეებს სულ „ბღღვის ადენს“
ჩაღიჩით და თავის ფხანით.

ვაჟკაცია სანაქებო,
ტანმორჩილი თმებავშლილი,
ვაი იმას, ვისაც გაჰყარა
აღესილი თეთრი კბილი.

აბობს: — მე რას მაჯობებსო
ტექნიკი და ინჟინერი,

სუყველაფერს გავაკეთებ,
ცოდნა მაქვსო მრავალფერი.

სპეციალისტს არ იკარებს,
ეზარება როგორც ჭირი,
ამიტომაც ბევრჯერ გზებზე
დაიმტვრია ცხვირი... პირი...

ბაქი-ბუქობს, ხმას იბოხებს
მაგრამ მაინც ვერას ხდება,
საგზაო მშენებლობაზე
აღარავინ ეყარება.

ჟოლოკი



მღვდელი: — იძინონ!.. სანამ მავანი გაიღვიძებენ, ნახევარ სოფელს დავნათლავ...

მიცვალებულის დაკარგვა

(ნამდვილი ამბავი)

— საშინელი ამბავი მოხდა!.. მიცვალებული დავკარგეთ, მიცვალებული. — შემოსვლისთანავე დაიძახა ჩემი ცოლის ბიძაშვილმა ანთიმოზმა.

— ვინ მიცვალებული? — მიიძახა ცოლმა და მოემზადა სატირლად.

— ვინ და ელპიტო, ჩემი ძმის ოჯახობა. — მოიბრუნა სული ანთიმოზმა. გაგრაში იყო წასული ის საცოდავი, გაციებულა და სამ დღეში გარდაცვლილა...

— მერე?

— მერე, გამოუგზავნიათ კელასურის მატარებელზე ცალკე ვაგონით. მატარებელი მოვიდა თბილისში, ჩვენი მიცვალებულიანი ვაგონი ჭე მოუხსნიათ სადღაც... აქეთ ვეცით, იქით ვეცით, თბილისიდან რომ ვერაფერს გავხდით, გადმოვეცინდით ხაზზე მიცვალებულის საძებნელათ. მე აქ, ხაშურში დავჩი. უნდა მიშველო ჩემო გრიგოლ, შენ, როგორც რკინიგზელი და აჭაური კაცი, იქნებ მომიხერხო რამე და მომიძებნო მიცვალებული.

— კი, მაგას მოვახერხებ. — დევიზურე ჭული და სადგურისაგან გავსწიეთ. გზაზე დაწვრილებით გამაცნო ანთიმოზმა მიცვალებულის დაკარგვის ამბავი.


— ხუთში გაგრიდან გამოგზავნილი ელვა-დეგემა თბილისში რვაში მივიღეთ. იმ საღამოსვე დაეტრიალდით ნათესავები და ნაცნობე-

ბი, ოთხი კაცი გაგრაში გავაგზავნეთ, იმათ, კელასურში ჩაუსვენებიათ მიცვალებული, უშოვიათ ვაგონი და გუშინ საღამოს გამოუსტუმრებიათ თბილისისკენ. უფიქრიათ: ეგებ ერთი დეგემა არ მივდესო და სხვადასხვა ფოსტის განყოფილებიდან სამი ელვა დეგემა გამოუგზავნიათ „მიცვალებულს მოვასვენებთ, შეგვხვდითო“. მართლაც ამ დილას მივიღეთ ერთი დეგემა: „მიტროფანე მოსკოვში მიდისო.“ მაგრამ, რადგან ჩვენს საიბლოდ გამოგზავნილის გვარი სწორად იყო აღნიშნული დეგემაში და თან რიცხვიც ეწერა, მივხვდით რაშია იყო საქმე. დილის ათი საათი იქნებოდა, როცა სადგურში გავედით.

მოვიდა მატარებელი შევედით მის ბოლოში. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, მაგრამ არ შეგვჭამოს ჭირმა. სადაა ჩვენი მიცვალებულის ვაგონი? მივვარდით უკანა ვაგონის კანდუქტორს და ვკითხეთ: სადაა ჩვენი ვაგონი?..

— ზესტაფონში თუ ხარაგაულში ახსნეს. ცარიელი ვაგონის მატარებელზე მიბმა უღელტეხილზე არ შეიძლება, რადგან მიმწოლი ელმაგალი ვერ მოაწობა...

ელდა გვეცა. რაღას ვიზამდით. გევისტუმრეთ აი მოტირალი ხალხი სახლში. (ჩვენ რა წასაყალი პირი გვქონდა.) ახლა, ჩემო გრიგოლ, როგორც გითხარი გადმოვეცინდით ხაზზე, ამელამ უნდა მოვნახოთ ჩვენი მიცვალებული მეტი საშველი არაა, თორემ თუ სადმე წეიყვა-



საშუალო საბჭოთაო სკოლა № 1
რადიოსადგომის არაქცევს საგზაო მშენებ-
ლობას.

„განათლების“ ქუჩა აღარაფერს არ ჰგავს,
დგას წუმზე, ტალახი ორთავე ნაპირებს,
ზოგი წაღებს სტოვებს, ბევრი კალოშს
კარგავს,
გზის შეკეთებას კი არავინ აპირებს.



ტასიკომ დაკარგა აქ წყვილი ბოტები
საგზაო სექცია, ნეტა რას უყურებს?
ბევრი გაუგზავნეს აღმასკომს ნოტები,
მაგრამ ჯერ არვინ არ იბერტყავს ყურებს.

ოღლი

— ის ვაგონი, ბატონო, ავტო გაშიერკვევა ახლა — ხვოსტად
მიუბამენ ვასემოტ ჩეტვიორტიზა და ბათუმისკენ გოუგზავნიენ. —
დაიძახა ზესტაფონმა.

— მერე შე მამაცხონებულო, ბათუმში გაგზავნე თბილისის ვა-
გონი?

— აბა მატარებელს ხომ არ მოვშლიდით შე კაცო, ხვოსტის გუ-
ლიზა. — იმართლა თავი ზესტაფონმა.

— ჩემთან ავტო ერთი მიცვალბულია ბაჟურიანიდან ჩამეყვებ-
ნეს ამ დილას. თუ ძაან გიჭირთ, იმას გაგატანთ თქვე უბედურე-
ბო. — მოისმა ვილაცას ხმა.

— რომელი ხარ შენ? — ერთხმად მიამხეს დისპეტჩერებმა.

— მე ვარ ფილემონი ბორჯომიდან.

— ვისია მერე მაი კვდარი თუ იცი?

— არ ვიცი, ვილაცამ ჩაგვაბარა ამ დილას და მერე არც გამო-
ჩენილა.

— საშური. — სუქა ბარნაბამ. — ე, ბიჭო, კოლია, გოუგზავნოთ
მაი მიცვალბული, ეგებ ქე დათანხმდეს პატრონი. — ამ სიტყვებ-
ზე ყველამ ანთიმოზს შეეხედეთ.

— რავა შეიძლება, ბატონო, სხვისი მიცვალბული, რავა შე-
იძლება. — იმტყიცა ანთიმოზმა...

— არ შობა ძმაო, არა, — ჩასძახა სელექტორში დისპეტჩერმა.

— თვარ შობა ბიძია, და რა უყო ახლა.

გამოგვითშეს ზესტაფონს. უფროსი დისპეტჩერი მოწყენილი წა-
მოღდა და ანთიმოზს მიუბრუნდა:

— რა-გქნა, ჩემო ძმაო, შენც ხედავდი — შევძარი ქვეყანა, მა-
რა ვაგონი არსად ჩანს. ბათუმში ან ფოთში უნდა შეიძებნოს, თო-
რემ ტყვილია აქ მაგის ძებნა.

ანთიმოზი უცბად გამობრუნდა, გარეთ რომ გამოვედით, არც
დამშვიდობებია, ისე მოახტა ბათუმისკენ მიმავალ მატარებელს.

ჩინგისხანი.

ხეს, მთლად დავგვეკარგება. თურმე მარტო ორ დღის საყოფ ყინულ-
ში ყოფილა ჩადებული. ამ ორ დღეში თუ არ მოვასწარიო მისი ნა-
ხვა, მერე ველარ წეეკარება კაცი. — დაამთავრა ანთიმოზმა ამბის
მოყოლა სადგურში მისვლისას.

სადგურის მორიგის ოთახში პირველად მე შევედი. მან ტექნი-
კურ მომუშავეზე მიგვითითა, როცა ამ უკანასკნელს ჩვენი გაჭირ-
ვება აუხსენით, მან გაკვირვებით შემოგვხედა და უცბად მოგვა-
ხალა:

— არაა, ძმაო, არა, აქანე მაგისტანა არაფერი და არც ყოფილა
დღეს.

— კი, მაგრამ იქნება გაგვიგოთ სად იქნება. — ვერ შეიკავა
თავი ანთიმოზმა.

— განყოფილებაში იკითხეთ, აგერაა გვერდზე...

ბევრი იცინა უფროსმა დისპეტჩერმა ჩვენი ამბავი რომ მოუ-
ყვეით და სელექტორზე წაგვიძღა...

სელექტორის უფროსი დისპეტჩერი მიუჯდა და გამოიძახა სად-
გურები საშურიდან ზესტაფონამდე... ლიხი, წიფა, მოლითი და ასე
შემდეგ, მაგრამ არ შეგვამოთ ჭირმა ჩვენი ვაგონი არსად აღმოჩნ-
და... ბოლოს, როგორც იქნა, ველირსეთ ზესტაფონის გამოძახებას.

— რომელი ხარ შენ? — ეკითხება უფრ. დისპეტჩერი.

— მე ვარ მორიგე აფხაზავა...

— მე ვარ საშური... ბიჭო, მაქანე მიცვალბულის ვაგონი ხომ
არ ოუხსნიენ დღეს სემდესიატ პიატიდან?

— მიცვალბული კი არა, რას შობი, გაგყავს თუ არა შესტოტ
ტრეტი? გაქედელი მაქ თლათ სადგური.

— ჯერ ამაზე მიპასუხე, ახსენი თუ არა მიცვალბული?

— ხო, შენ მემასხარავე მაქიდან და მე სახალხო არგვეთაში
მიდგას, ვერ ვღებულობ... სადაა ტისიაჩა შესდესიატის და ვა-
სემოტ ჩეტვიორტის ელმავლები. რატომ არ აგზავნით?

— შემიერთე რაიონი. — შეუტია აქედან უფრ. დისპეტჩერმა.

— ა, პაქალუსტა შეგაერთებ და გეეცი პასუხი, ელმავლებს
რომ არ მიგზავნი.

შეგვიერთეს თუ არა მეორე განყოფილებას, მაშინვე ვიცანით
ბარნაბა ცნობილადის ხმა:

— ვაიმე. ვაიმე. რა გვეშველება ახლა... რაიონი. რა ქენი კაცო,
გოუშვი მარგანეცი?... იანეთი. იანეთი. არ მიიღო მატარებელი სამ-
ტრედლიდან.. არც შენ მიიღო, შორაპანი, არაფერი ძირულიდან....
არ მისცეთ არავის გზაი, შეკარით რაიონი, მაგათი...

— ზესტაფონი... განყოფილება... რაიონი — რა არ იძახა დის-
პეტჩერმა სელექტორში...

— რა გინდა კაცო, რაი? როგორც იქნა, ველირსეთ ბარნაბას
პასუხს...

— ბარნაბა. მე ვარ კოლია საშურიდან. თუ ძმა ხარ, ამ დილას
მიცვალბულის ვაგონი ახსენს ზესტაფონში სემდესიატ პიატი-
დან და უნდა გამიგო, რა უქნეს იმ ვაგონს.

— მიცვალბულია... ხა, ხა, ხა.. გადირიე. გადასარეველ შე
მაქვს საქმე: ორი „პოეზი“ მომიშალა ზესტაფონმა...

— ბიჭო, გამიგო ეგებ, მიცვალბული დაიკარგა, კაცო. — არ
ეშვებოდა დისპეტჩერი.

— გზაც იქით ჰქონია, თუ დეიკარგა... ელმავლების რა ქენი
შენ აფხანაკო, აგზავნი თუ არა?

— კაცო. მე კი არ გეხუმრები. გზის უფროსი თხოულობს. —
იცრუა დისპეტჩერმა.

— გზის უფროსი. ვინ იყო ბიჭო აწი.. ზესტაფონი. ზესტაფონი.

— მე ვარ ზესტაფონი.

— რა უყავი, ბიძია, ის ვაგონი, ამ დილას რომ ახსენი კელა-
სურიდან დიდი მკვდარია ეტყობა ხომ ყურობ რა ამბავია, გზის
უფროსი თხოულობსო...

— ბიჭო, შორაპანი იკლავდა ამ დილას თავს ცარიელი ვაგო-
ნებიზა მარგანეცის დასატვირთად და იმას გოუგზავნიდნენ ალბათ
იმ ვაგონს. — დაიძახა რომელიღაც სადგურმა.

— თუ მოაყოლეს მარგანეცში და ამერიკაში ამოაყოფიეს თავი
არ იქნება სერი? — მიაყოლა მეორე სადგურმა...

ამ სიტყვებზე ცოტა არ იყოს, ფერმა გადაკრა ანთიმოზს.

— მაძალეთ, კაცო, რა ამბავია? — გაბრაზდა ბარნაბა — მიპა-
სუხე ზესტაფონო...

— წერო... სამტრედიის რაიგანათლების განყოფილების გამგე ჩხენკელი მინდა!..

— წერო... შენა ხარ კაკო! ჩემი უმდაბლესი სალამი და გამარჯვება დიდათ პატივცემულ ჩინებულთა შორის უჩინებულეს აკაკი ქაიხოსროვიჩის. რაღა ხარ ჩემო კაკო, ა!.. ხომ ხარ ვითარცა კლდე ხონდებისა და კაფი სტამბულისა?!

— კაკო, ამფერუმ ძმაო შენ ვაჟკაცობას, მართლა ნამდვილ ყარამანყათილს გამგზავსებენ... თურმე შენი ნათქვამი კლდეს გადღლიზავს შუაზედ და მდინარე რიონს პირუკულმა შეაკვიწილებსო. დარევიხარ მასწავლებლებს ბაყ-ბაყ მდევით სულ ბღღვირი აგიდენია მათთვის... სკოლის გამგეები შენი შიშით ჭადრის ფოთლებით ცახცახებდნენ...

იცი ბიჭო? დიდის ამბით მიამბეს რომ მასწავლებელი ქალი ნუცუბიძე მიუხედავად მიხი სანიშნო მუშაობისა მაინც ბოლტივით მოგიძვრია მისი სიფათი არ მოეწონათო თურმე ბევრი უგლიჯინებია საწყალს აქეთ-იქით, განსახკომშიც უჩივლია, განსახკომსაც მოუწერია აღადგინეთ ნუცუბიძის ქალიო, მაგრამ ნიპრიჩტ, ვერ მოუერთმევია შილაფლავი... რომ ამბობენ რომა: ხმა ღვთისა და ხმა

აკაკი ქაიხოსროვიჩისო“. მაღაღეც რომ შეგიფერებია ბიჭო!..

— ა. მასწავლებელ ნასარიას უფრო უარესი დღე დააყენე?..

— კი მარა, ბიჭო, რა თილისმა გაქვს ისეთი, ა?

— ა... ის იცის ხეივანა?.. ალექსანდრე მაკედონელი ხარ?

— ო. კაი ახლა, მართლა აგრე ნუ კი ეიწევი ადგილში.. კაკო, თუ ძმა ხარ, მარგალიტით ორ გოგონას გიგზავნი და აბა შენ იცი თუ მოაკვარახტინებ კარგ ადგილზე მასწავლებლებად.

— ა... რაღა არა კაცო, უმრავალყამიეროდ რაღა დავრჩები...

— აბა, ასე, მშვიდობით, ჩემო კაკო ყოჩაღო.

სოკრათიჩი

კინჯე

შ ე კ ი თ ხ ვ ა

ზესტაფონის ელსადგური ცუდად მუშაობს. რის გამოც დენი ხშირად ქრება.

აქ ელსადგური, ნიანგო, ჯერ არავის არ უქია, ღამე სამოცჯერ ინთება სამოცჯერ ქრება შუქია.

ქალაქის საბჭოვ, გვითხარი, რად არის შუქი მქრალია? აქ სადგურია შუაში თუ მავნებლების ბრალია?!

ძნელოლო

კ უ დ ა-კ უ დ ა ტ რ ი ლ ო ბ ი ა *

1. „მგზავრი“

მგზავრი ბევრნაირია. არის მგზავრი, რომელიც ტალახიან ორლობებში შემთხვევით მოხვედრილი, თქვენს საკუთარ ღობეს ეკიდება და თუ არ გადმოგვქნა, სანამ ტალახს გაშორდებოდეს, ხელს არ უშვებს, თავისკენ ეწევა, ექჩავება და შეიძლება რამდენიმე ადგილას შეამტვრ-შემოამტვრიოს კიდევ, რა თქმა უნდა, თუ ღობე ცოტათი ხმელია.

აქ ღობე არაფერ შუაშია, არც ტალახი; მგზავრია უსამართლო და უდიერიც: რას ვრჩის ყოვლად უდანაშაულო სხვის ღობეს...

სულ სხვა კიოსკთან მისული მგზავრი, თუნდაც, მაგალითად, ქ. მახარაძის რკინის გზის სადგურში. სრულიად სამართლიანად მოითხოვს იგი გაზეთის კიოსკის გამყიდველ ქალ ნადია სურგულაძისაგან, რადგან გაზეთი კულტაქონელია, სანამ იგი კიოსკშია და მას იქ ნადია ჰყიდის. მგზავრიც მიდის... სულ ერთია, საიდანაც არ უნდა მივიდეს: მარცხნიდან თუ წინიდან. აქ არ ილახება საბჭოთა ვაჭრობის წესი. პირიქით, მაშინ ილახება, როცა გამყიდველს ერევა ბრაზი და გულმოსული მიმართავს მგზავრს: „რაღა განზე ღვახარ შენ, ვინცხა ხარ. თუ გაზეთი

გინდა, გამისწორდი, თვალში პირდაპირ შემომხედე-ო!..“

მგზავრის საქმე ნადიას თვალში ჩახედვა კი არ არის, არამედ გაზეთში ჩახედვა. სწორედ ამიტომ აწყვეს გაზეთები კიოსკში, აზიტომ ყიდის მათ ნადია და ნადიასთანა კიდევ სხვაც ბევრი. ყველას აბია თვალეები, მაგრამ, თქვენი მტერია, თუ ყველამ ისინი მუშტრად მისულ მგზავრს დაუბრიალეს ნადიასავით...

2. „ისევ ის არი“

რა არის ისევ ის, ან ისევ ისე? — ის, რომ წნორის საქვაჭრობის მაღაზიაში მოსული საქონელი წინასწარ დამზადებული ჩეკებით სპეკულიანტებზე თუ სხვა „ნაცნობ მუშტრებზე“ იყიდება, ის, რომ მაღაზიის გამგე, ქურთიევი ამას ხელს უწყობს, თუ ის, რომ ასე ამას მართო ნოქრები სხადიან, ხოლო ქურთიევი შეჰყურებს ამ სურათს და, ასე ესთქვათ, პილატესავით ხელს იბანს...

თუ წნორის საქვაჭრობაში კვლავც ასე მოდის ფართალი, სჩანს, არც ნოქრები, არც გამგე,


არც მუშტარია მართალი...

ეს საქმე კვლევას მოითხოვს, ნიანგიც ჩანგლით მზათ არი...

3. „ჯანსუქი“

თქვენს მტერსა და ორგულს ასეთი რამ. ისე კი, თუ მარეღისის ფაბრიკის სასადილოს გამგეს კილო ხორციდან ოცდაათზე მეტი კერძი გამოჰყავს, ხოლო ფასად კიდევ ერთი ორად თუ სამადაც ჰყიდის, „ქება და დიდება“ მას: იგი ყოფილა ამ საქმის ნამდვილი თერძი, არა თუ, როგორც თქვენ იწერებთ. ამხ. ნიანგკორო, მარტოდენ ვერძო თუნდაც ზღაპრული ოქროს მატყლოვანი, რადგან აერძებს საზოგადოდ, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, სხვები ჰკრეკენ, ხოლო „მარეღისის ვერძი“ კი, როგორიცაა სჩანს, სხვებს აძრობს ტყავს და, ეტყობა, თავისთვის იკერავს. ჩვენ მას ზედმედ სახელად თერძო ვუწოდეთ.

ზიპო.



ნიანგის ნაწიური

გაზეთი
ბიზნისი

მშვენიერ ხასიათზე ვიყავი ზესტაფონიდან რომ სოფ. ფუთისაკენ გავემგზავრე. სოფელ ფუთში უცებ გული შემიღონდა. ჩემი თან-მხლები ნიანგორი ს. ცერცვაძე ხელად დატ-რიალდა. სოფლებელმაც გაიგეს ეს ამბავი. წყლით სავსე ბოჭკებით, ღოჭებით მორბოდ-ნენ, მაგრამ არა ჩვენსკენ, არამედ ექიმ ვ. ცინცაძისაკენ.

— მოიცათ, მოიცათ, წყალი რამდენიც არ უნდა დაასხათ თავზე, ექიმი მაინც არ გაიღ-ვიძებს. — ასე მოყვიროდა და მორბოდა ერ-თი გლეხი. — გლეხი პატარა ჭინჭილათი ექიმ-თან მივარდა და ჭინჭილა პირდაპირ ცხვირ-თან დაუდგა;

— ჰმ, ჰმ... წითელია... მშვენიერი გემოს იქნება, ალადასტურია! — ხშირი ყნოსვით ამბობდა ახლად გამოღვიძებული ექიმი.

საქმე რაშიც იყო მივხვდი. რაკი ნიანგის საკბილო ვიშოვე გულმა ნორმალურად და-შიწყო ცემა.

— მაშ, გამოდის რომ თქვენი ექიმი ვ. ცინცაძე პირდაპირ ძილის გულდა, არა?



— დიახ, მეგობარო, არაფერს არ აკე-თებს. — საყვედურით სთქვა ნიანგორმა. — ჩანგალი გვერდზე ამოვიღე და სოფ ილემში ჯადავედი.

არ გაკოცო არ იქნება,
გაკოცო და რათა,
შევარცხვინე შენი ცხვირი
ცომყლაპაძე დათა...


ასე მღეროდნენ ღვინით გაღებული და ჭახში ქარავანივით მიდიოდნენ. ზოგი მათ-განი ჩურჩხელებით ამოვლებულიყვნენ ტა-ლაშში.

ეს ამბავი კედლის გაზეთში უნდა გავწე-რო — გადავწყვიტე და გავეშურე იქ, სადაც კედლის გაზეთი ეკიდა. თვალეში მომანათა სათაურმა — „იმედი“.

— ჰმ! „იმედი“! ასეთი იმედი „განგებამ“ ნუ მოუშალოს ამ გაზეთის რედკოლეგიას. აჭ გაზეთი ორი თვეა არ გამოსულა. — ჩამჩურ-ჩულა ნიანგორმა ილმელმა. — კი მაგრამ სა-ხელწოდება მაინც შეუცვალეთ გაზეთს სიო-ცხვილია! — ეურჩიე მე.

მეზობელ სოფლებიდან ნიანგორებმა გა-იგეს თუ არა, რომ მე ნიანგის დავალებით მასალებს ვავროვებდი, დაიწყეს წერილების მოტანა.

— არიქა, გვიშველეთ, პურში ვეებერთელა ნაგაზი ძაღლი შეჰყოლია. დაიხრჩობა, საუ-კეთესო ძაღლია, ცოდვია. — გეწერდნენ შო-რაპნიდან.



მასალას შემოწმება უნდოდა. ჩავედი შო-რაპნიში. მივადექი პურის საცხობს. მაგრამ ვაი ასეთ მიდგომას, პურის მოსახელ ვარცლე-ბიდან მართლაც გადმოცვიდნენ „ნაგაზის“ ჯიშის ძაღლები, ფქვილში ამოსვრილნი. ზო-გი შარვალზე მეცა და ზოგი სად. ისევ მიშ-ველა ჩანგალის ამოღებამ. ძაღლები მხოლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როდესაც საცხობის გამ-გე ზამბახივით წამოვავე ნიანგის ჩანგალზე.

ნანადირევით გამოვედი პურის საცხობიდან. უცებ ვიღაც ქუდმოგლეჯილი ჩქარი სულის-თქმით შემომეფეთა გზაზე.

— თქვენ ნიანგის რწმუნებული ხართ?..
— დიახ.
— აბა, აწი აღარაფერი გვიჭირს!
— რაშია საქმე?

რაშია კაცო და პირდაპირ გავგფცქენა გა-ქვეის სავაჭრო წერტის გამგე დავით შარაბი-ძემ. არაყს, ძამია, რომელიც ღირს 15 მანეთი, 18 მანეთად ყიდის, 9 მ. ღირებულ კონიაკს 15 მანეთად, საპონზე და სხვა საქონელზე ფასებს ნულარ იკითხავთ.

ამ ამბავს ვერ დავიჯერებდი რაიკოპკა-შირს რომ არ დაედასტურებია ეს ამბავი. რაიკოპკაშირის თავმჯდომარე ზის კერიას ძირში და დაირას ახმობს, რომ ცეკავშირს მიუბუღებულოს სავაჭრო გეგმების ამ გზით გადაჭარბებით შესრულებაზე.

ჩანგალს მოემატა კიდეც ერთი ნანადირევი.

* * *

უკან, თბილისისაკენ ვბრუნდებოდი, ნანა-დირევიც საკმაო იყო. მაგრამ ნიანგის დეპეშა მივიღე, — მეჯვრისხევის კლუბში წარმოდგე-ნა მიდის და დაესწარიო.

რას იზამ, ნიანგია, დავავალა, მორჩა...

— მეჯვრისხევი შორსაა ძამია? — ვკით-ხე გზაში ერთ მოქალაქეს.

— ახლოსაა, რად გნებავს?

— ამაღამ კლუბში წარმოდგენა მიდის და უნდა დავესწრო.

— ხი, ხი, ხი...

— რას იცინით?..

— მეჯვრისხევის კლუბი და წარმოდგენა? მე თვითონ ვარ რეჟისორი ნიკო ბერიანიძე. ხელფასს კარგს ვიღებ, მაგრამ 1937 წელში წარმოდგენა ერთხელაც არ დამიდგამს. არც შემდეგშიაც ვაპირებ წარმოდგენის დადგმას.

— ვილაცას შეცდომაში შეუყვანია ნიანგი ამხანაგო! — ჩაერია ჩვენს ლაპარაკში კლუ-ბის გამგე ებანოიძე და სასაღილოსაკენ გაე-შურა, მე კი თბილისისაკენ გამოვემგზავრე.

შოლტი


წერილი ნიანგს!

ნიგეზიანი

ვარ მე გლეხი კოლმეურნე
გამეშალა ყოფა ვარდათ, —
ჟურნალ-გაზეთების კითხვა
კიდეც უფრო შემეყვარდა...
მაგრამ მისი მოწოდების
საქმე აქ ჯერ ვერ მოგვარდა, —
აღარ ვიცი ფოსტა სუსტობს,
თუ სხვა ვინმე ფოსტის გარდა?
წელიწადი გადის თითქმის
ველოდებით ჟურნალ „მნათობს“,
რასაც ხელი მოვაწერეთ
რაც გავრცელდა ჩვენში ფართოდ.
ხო. გავრცელდა ხელმოწერა,
და ჟურნალი არ სჩანს ერთიც,
არ ვიცი თუ ბრალი ვის აქვს

ვის დაესხა ბრუ და რეტი?
ფული ხელზე მივაწოდეთ
პედაგოგ ქალს, ახლა ყოფილს,
მაშინ სწორედ ამ საქმეზე
სოფ. საბჭოსგან გამოყოფილს.
ის ჩხაიძე იყო ნატო
ვინც მიიღო თანხა სრული,
და შემდეგ კი ვერ გავიგეთ
ვისგან იქნა გაქაფული.
— ნიანგოჯანი! ხათრისათვის
გაისარჯე ცოტა თავი.
თორემ ჩვენთვის ამ საქმეზე
არვინ არის გამკითხავი.

ჩახუნდარიძე



მოწაფეების პოზა მიტომ არის მიმზიდველი და მასწავლებელსაც საბანი მიტომ ახურავს, რომ ქინავს სოფსაბჭოს თავმჯდომარეს.

არითმავიკული ამოცანები

შუხამედ ჭალაღიძე მსახურობდა წყლის საყარის (ხულო) კოოპერატივში. მან მომხმარებლებს მუშტი-კრივით სახეები დაუმახინჯა, დაამახინჯა საბჭოთა ფასების პოლიტიკაც. როდის მოხსნეს კოოპერატივიდან ჭალაღიძე და რამდენი თვეა მისი საქმე პროკურორს აქვს უჯრაში დასილოსებული?

— : —

რკინამადნის პროფკავშირის ქიათურის რაიკომის ინსტრუქტორ ტალახაძეს 8 თვის განმავლობაში ერთხელაც არ დაუთვალაიერებია ლიკსკოლები. 36 მუშა ოთხ დღეს უცდიდა გამოცდების ჩასაბარებლად.

გამოიანგარიშეთ 8 თვის განმავლობაში ტალახაძეს რამდენი მიუღია ხელფასი მთქნარებისათვის და რამდენი დღეა საჭირო მისი საშუაოდან მოხსნისათვის?

— : —

ფოთის პედსასწავლებელსა და პირველ საშუალო სკოლაში ფიზკულტურული მუშაობა საღათის ძილს მიეცა. არა აქვთ სპორტდარბაზი და სათანადო ხელსაწყოები.

რამდენი მათრახი მოუხდება ფოთის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის მუშაკებს და რა დაჯდება მისი გადახალისება?

— : —

რამდენი საქონელი გაუყიდა ზედმეტ ფასებში ბორჯომის რკინიგზის კოოპერატივის გამგე ალიხანოვს, თუ მას ბავშვების კაბები გაყიდული აქვს 10 მ. 75 კ. ღირებული 15 მ. 75 კ. ფეხსაცმელები (წყვილი) 28 მანეთიანი 38 მანეთად და რა უჯდება ცეკავშირს ასეთი კოოპმუშაკების შენახვა მომხმარებელთა ხარჯზე?

ეზნაიან

მზიარული დავბრუნდი შინ სტუდენტთა ქალაქიდან, რადგანაც ტრამვაის (მარშუტი № 5) ერთნახევარ საათზე მეტი აღარ დაუგვიანებია. ცოლის მიერ ღამის 12 საათზე აღუღებული ჩაის მაინც მოესწრო გაცივება და ამის გამო დაღვევას დიდი დრო არ დამკარგვია, გავასე ჭიქა და კარგ თამადასავით ერთ ყლაპაზე გადავკარი. დავწექო თუ: არა, მაშინვე დამეძინა სტუდენტთა ქალაქის დირექტორ ვაშაქიძესავით.

დილაა. ავდექი და წავედი სტუდენტთა ქალაქში. ტრამვაიმ მაშინვე ჩამომიარა. გაცეხული ვარ ტრამვაის ტრესტის ასეთი მოქნილი მუშაობით.

შევდივარ სტუდენტთა ქალაქში, მორიგეები ფხიზლად დგანან და თავაზიანად მთხოვენ მოწმობას, მიკვირს ეს ამბავი, მაგრამ აგერ უფრო საკვირველი ამბავია: გამწვანებული ეზო შიგ სისუფთავე.

— ნუ თუ ერთი დღის მანძილზე შეიძლება გადამხმარი მცენარეების გაცოცხლება და ესოდენ კოხტად აყვავება? — ვეჭოთხები გაკვირვებით ჩემს თავს.

აღარც ღორები და ცხენები დაეხეტებიან ეზოში.

ვუახლოვდები ფაბრიკა-სამზარეულოს, სკვერში ახალი საჯდომები დაუდგამთ დამტვრეულების ნაცვლად. ვხედავ, რომ ფოსტის განყოფილებაც თავის დროზე გაუღიათ, საპარკმახეროც თითქოს ღამაზად გამოიყურება, შიგ ნიხრიც არის გამოკრული. ფაბრიკა-სამზარეულოს წინ ვხედავ, რომ ქარის მიერ ჩამოგდებული და ერთი წლის წინათ გაჩერებული ელექტროსაათი ამუშავებულია.

— ბიჭოს! საქმე კარგადაა.

შევდივარ საუზმისათვის სასადილოში. მშვენიერი სისუფთავეა, არც რიგია და ჩვეულებრივ აღარც ცდა დამჭირდა. ჩემთან მაშინვე ცხადდება სუფთა ხალათში გამოწყობილი მომტანი და თავაზიანად მაწოდებს შენიუს.

— აირჩიეთ რაც გნებავთ!

ეს იშვიათი გემოვნებით შემზადებული ყურძმა, წარმოიდგინეთ რძეც და კვერცხიც არის.

დიდის ხალისით გეახელით საუზმე.

ვიფიქრე, სტუდენტთა ქალაქში რაკი ყველაფერია მოგვარებული, სამრეცხაოც ამუშავებული იქნება. საჩქაროდ გავიხადე თეთრეული და მივარბენინე სამრეცხაოში, სიხარულისაგან მეტისმეტად აღელვებული დავრჩი, რომ სამი წლის წინათ დაწყებული სამრეცხაოს მშენებლობა ერთი დღის განმავლობაში დაუმთავრებიათ.

გამახსენდა, რომ ერთ თვეზე მეტია აბანოში არ ვყოფილვარ: შეიძლება აბანოც აამუშავა ყოვლის მხსნელმა და შემდეგ მმართველმა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონ



— ნუ ჯავრობ ღედილო! ქიმიკმინატის მელანია და ყვითელ სუფრას კი არა, თეთრ ქალაღსაც არ აჩნდება.

და, როცა აბანო ღია დამხვდა და შიგ იდეალური სისუფთავე იყო.

დაუყოვნებლივ ჩავიბრინე აბანოში და გავიხადე შარვალი და ხალათი. აბანოში ყველაფერი არის, წარმოიდგინეთ ისეთი „წვრილმანიც“ კი, როგორიცაა თბილი და

ცივი წყალი. მაგრამ ვაი უბედურებას — მეტი მომივიდა ცხელი წყალი, განზე გავუხტი და... იატაკზე ბრაგვანი მოვადინე.

გამომეღვინა. თურმე ეს ყველაფერი სიხმარი იყო.

ინკოგნიტო

სოფ. სხალთაში რადიო არ აქვთ სას. საბჭოს თავმჯდომარე არ ზრუნავს რადიოს დადგმაზე.

ნახ. ლებეშევის

ქ. ცხაკაიაში გაიხსნა ახალი აბანო, მაგრამ წყალი არ ზრუნავს.

სოფ. სხალთაში

(ზესტაფონიდან)

ნიანგო, გეხვეწები
აქეთ ქენი პირი,
რომ გაიგო ძმაო
ჩვენი გასაჭირი.
არ გვივარგა ხიდი,
ადამის წლის, ძველი,
მაზედ გასვლა არის
საშიში და ძნელი...
ქუჩებში სავლელად
საჭიროა ფრენა,
ტალახში ვიხრჩობით
კაცი, ქალი, ყველა.
ზოგან გააკეთეს,
არის ზღვაში ცვარი.
ეჭირვება უფრო
მუშაობა ჩქარი,
სახლების შენებას,
აქ შეუდგნენ გვიან,
ან რა ენაღვლებათ,
უმოქმედოდ ზიან.
კლუბის შენებაზე
დაჰყვეს სამი წელი.
მაგრამ დაამთავრეს
მხოლოდ საძირკველი.
ამ ამბებზე გვეტყვის
საქმე თუ რაშია.
საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი კაშია...
ეხლა, ეს იკმარე,
შემდეგისთვის სხვები,
დანარჩენ ამბებზე
შემდეგ მოგიყვებით.
უშიშარი



— სიცხადეში ხომ გამიწყალეს გული რადიოს დადგმაზე და სიზმარში თვით რადიოს აპარატის მოლანდება მაღრჩობს.

ცხაკაიას აბანოში
გადვიხადე კაცმა ფული,
შესვლის უმალ წყალი შეწყდა
და შიგ დავრჩი გასაბნული.

ველოდებით და არ მოდის

თბილისის მე-30 საშ. სკოლის საშ-
ხედრო საგნის მასწავლებელი ირადიონ
ბოჭორიშვილი ხშირად აცდენს გაკვე-
თილებს.

უკლებია.

თბილისში მტკვარი ჩამოდის
და ქუთაისში რიონი,
ველოდებით და არ მოდის
ეს ჩვენი ირადიონი.

ეკონომია

ერთ კინორეჟისორმა, რომელიც არაფერს
აკეთებდა, მაინც ლებულობდა ხელფასს. შე-
ურაცხყოფილად იგრძნო თავი:

— მერე რა გინდათ? ვიღებ ჯამაგირს, რა
მოხდა? იცით თქვენ, ჩემით სახემწიფო რამ-
დენს იგებს? რა გიკვირთ? რატომ გარც-
დით?! მე მართალს ვამბობ. ვდგამ ერთ კი-
ნოსურათს — წუნია. სურათი თაროზეა, მას-
ზე დახარჯული ნახევარი მილიონი — გადა-
ყრილი...

მე კი ორი კინოსურათი აღარ დავდგი სა-
ხემწიფოს მივეცი ერთი მილიონი ეკონომია
თქვენ კი ლაპარაკობთ: „ხელფასი... ხელ-
ფასი“...

ტოზოლიაკოვი

კაზარა მოთხრობები

ისე, ინტერესისთვის...

— ეე!.. უკაცრავად ყმაწვილო კაცო, მეხუთე ნომერი ტრამვაი
არ მუშაობს. თუ იცით? — შეეკითხა სათვალეების სწორებით ჩიბუ-
ხოსანი იქვე მდგომ ცილინდროსანს.

— მეხუთე?

ქალაროსანმა თავი დაუქნია და მწარედ ამოიოხრა:

— ეჰ. ილბალია, ელოდები მეხუთეს, შენს ჯიბრზე პირველი მო-
დის. პირველი გინდა, მეხუთე მოვა. აი, თქვენი პირველი ოცჯერ
მოვიდა, მეორე ნომერი კი ორჯერ, ოცჯერ, მიდის და მოდის პირ-
ველი და მეორე... ცილინდროსანი არაფერს უბასუხებდა.

— ეს არის საქმე. ნეტა ფეხით წავსულიყავი! აქამდე მისული
ვიქნებოდი. ეს არის წესრიგი? — განაგრძობდა ჩიბუხოსანი. — წინათ
აგრე როდი იყო, ყოველ საათში ტრამვაის ტრამვაიზე მიერეკებოდ-
ნენ ფარეხიდან.

ეგ რად გინდათ, ტროტუარზე მოაყენებდნენ ხოლმე და ჩოხის
კალთებს მაგლეჯდნენ მოდით ჩაბრძანდითო.

— მეხუთე! — ტყუიანაკრავივით წამოიყვირა ცილინდროსანმა,
მეხუთე, მოხუცო, თქვენ ხომ მეხუთე გინდათ?

— ჰა! რაო? მეხუთე? მეხუთე ნომერი ტრამვაი?!

— დიას, მეხუთე ნომერი...

— მაღლობა ღმერთს... ძლივს...

— შედით, თუ აღიხართ!

— სად?

— ტრამვაიში. თქვენ ხომ მეხუთე გინდოდათ?

— მე, ტრამვაი? არა, გეთაყვა, მე ფეხითაც კარგად წავალ, არც
ისე შორს ვცხოვრობ, აქვე მეორე გაჩერებასთან არის ჩემი სახლი.
მე ისე, ინტერესისთვის თორემ...

აბუსალათინი

გამოუშვალე მღვრეაქიოზა.

ოლინკა ბურღაძეს თბილისში ნათესავი ნიკიფორე უფშვტი-
ნაძე გარდაეცვალა. ჩოხატაურიდან ჩამოვიდა და დაესწრო ნათესა-
ვის დასაფლავებას.

— აბა, მოუსმინოთ ეხლა სამძიმრის დებეშებს. — სთქვა ერთმა
და მეორემ დებეშის კითხვა დაიწყო. კუბოსთან სიწყნარე ჩა-
მოვარდა.

ბევრი დებეშა იყო მოსული. ბოლოს ზუგდიდიდან მოსული
უკანასკნელი დებეშა წაიკითხეს:

ნიკიფორე. აღმაშფოთა შენმა სიკვდილმა, დათუთქული დავს-
ტირით შენს დაუფიწყარ სიცოცხლეს. ვწუხვარ ვერ ვესწრები შენს
სიკვდილს, რადგან ტიფი მჭირს. იყავით მხნეთ.

თქვენი სიბიჭო ჩანტლაძე
შოლტი

გოდოგნელს (ქუთაისი) ებეჭდავთ თქვენი თხოვნის თანახმად
რამოდენიმე სტრიქონს თქვენი ცხრაკარიან რომან-პოემიდან
„ბაბუაჩემის ყალიონი“:

„რა კარგია ეს მუღრევი
გაზაფხულის ალიონი,
წყალი ბევრი მიუღურნწია,
ხან ყვირილა, ხან რიონი,
ამას წინათ ბაბუაჩემს
გაუტეხე ყალიონი“...

ი მამაცხონებულ ბაბუაშენს, რატომ ორი ათასი ყალიონი არა
აქვს, რომ საქმე გაგჩენოდა და ასეთი ლექსების წერისათვის დრო
არ დაგრჩენოდა?

ინტაბუთებულ ბალაიანას (ჩოხატაური) მოგვყავს ადგილი თქვენი
ლექსიდან: „ავტობუსის შესახებ“

„ორ-ორი ფუთი თანაბრად
თან ახლავთ ხუთ კილოგრამთან,
მანქანას რა გააფუჭებს
როს ნებართვაა გამგიდგან.
ბარბაციო და გაჭირებით
ის წვეიდა, სხვა ჩამოდგა,
ოლიამ ბოვშიან ქალთან ერთად
ბილეთი ქმრებისთვისც გასცა“...

ამ ნაწყვეტზე უფრო ჩვენ დავაინტერესა თქვენმა მო-
წაწერმა: „ვემზადები ლიტერატურის ფრონტზე გამოსასვლელად.
ბევრი რამ მაქვს დაწერილი, მოთხრობები, პოემები, ლექ-
სები“... გეტყობათ ნიჭი, განაგრძეთ წერა, ხოლო ნაწერი ფოსტით
ჯამოგვიგზავნეთ, მგზავრს არავის გამოატანოთ, თორემ მოგვიტანს
და დავიღუბებით.

იკრი-ბოკროს (ლანჩხუთი) მოგვყავს ადგილი თქვენი მოთხრო-
ბიდან:

„წარმოგიდგენიათ ჩემი ცხოვრება, ყოველდღიურად
ჩემ ეზოში ბარე ვორმოც ბატი მყავს და სულ ჭიკჭიკობენ,
ვორმოცდა ათი კვატა და ინდოური, ქათმის ჭუჭულები და
მტრედის კნუტები და კატის ბარტყები ჰოი! მთელ დღეს რომ
ჩემს თავზე დაფრინავენ აღოპრანებივით, რა განცდაა ნიანგო,
რა სიხარული და მე ამას როცხა უყურებ მინდა რომ დავწერო
მოთხრობა, დავწერე კიდეც, და ხვალ ვაპირებ ნასადილებზე,
ჩემს საყვარელ ფრინველების გაერთიანებულ კრებაზე წა-
კოხხვას“...

არ შეცდეთ, არ წაუკითხოთ, თორემ დაფრთხებიან!...

ბუხს (აბაშა). თქვენ გვწერთ, რომ თქვენი ლექსიდან ერთი ტაე-
პი მაინც დაგიბეჭდოთ, რომ მასწავლებელმა ჭანტურიამ სიწითლე
იკრძნოსო. ჰა, ჩვენ ვასრულებთ თქვენ სურვილს:

ჭანტურია პედაგოგი
რა ყოფილა თურმე რაო.
იგი თავის მოსწავლე ქალს
სხვა განზრახვით ეძგერაო.

ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ ამ სტრიქონებმა სიწითლე გამო-
იწვიოს მასში. ჩვენი აზრით, ეს უფრო მოსახერხებელია საჯარო
გასამართლებისას.

ტან-ლის. (ქუთაისი) აბრეშუმის კომბინატის სასადილოს მუ-
შაობის შესახებ გვწერთ, რომ:

სასადილოში და პურის პუნქტში
აღარ ბრუნდება ხურდა და გროში,
ნიანგო ეგებ შენ დაუკარგო
მათ ხურდა-გროშის ტრფობა და ხოში.

ა მ ხ ა ნ ა გ ო ნ ი ა ნ გ ო!

დაუსვით ღიაგნოზი

ჰრელი კეველა დაათრო...

ვეკითხები „სახკინმრეწვს“:

ამხანაგო ნიანგო, თქვენი საყვედური ჩემს
შიმართ მართალია. მე მიკვირს მაინც, საიდან
გაიგეთ, რომ ვოროშილოვის სახ. მალაროების
მუშებს შორის საექიმო მომსახურება არ
არის, ეს კი ექიმების თანაშემწეების მ. ბუ-
ძისა და ნ. ლათაიძის ბრალია — მისაყვედუ-
რებით. მართალია. მუშათა ბინებში ქუდი
რომ შეგვიგდო არ შევალთო — ასე კი არ
ამბობენ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. ჯიუტია ჭი-
ათურის რაიჯანგანყოფილებაც. ზომებს რომ
არ იღებს.

— ჰმ. მიქარავს. — იტყვიან რაიჯანგან-
განყოფილებიდან.

— მე ვფიქრობ გასაგებია ვინ მიქარავს.
ამიტომ ნიანგო, მალაროს მუშები გთხოვენ
შოგვინახულოთ და შენებური ღიაგნოზი და-
უსვით უმოქმედო ექიმებს და რაიჯანგანყო-
ფილებას.

— აბა, ვისაც გინდათ ფართალით გაჩა-
როთ გული, შეაგროვეთ ფული, — უთხრა
დაბლა საქარის (ზესტაფონის რაიონი) კოო-
პერატივის გამყიდველმა პეპელა ქარაიძემ
მომხმარებლებს.

შეაგროვეს ფული. მოიტანეს ფართალი.
აღდა ჩვენი პეპელა და იწყო ფართლის გაცე-
მა მხოლოდ ძმა-ბიჭებზე. ამ ამბის შემდეგ პე-
პელაზე ასე მღეროდნენ:

ჩვენი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
ფართალი ხელში ჩაიგდო,
დაითრია და იამა.

ჰაი, ჰაი, რომ მღერიან ამ ლექსს, მღერის
პეპელაც და რაიკოოპკავშირი კი ამ სიმღე-
რით დამტკბარი დამშვიდებული კვერს უკ-
რავს პეპელა ქარაიძეს.

ჩვენ, აბაშის რაიონის სხვადასხვა სოფ-
ლების კოლმეურნეები არ ვართ ცრუმორწ-
მუნე ხალხი. არ გვწამს არც ღმერთი და არც
სიზმარი, თუმცა სიზმარი, როგორც „სახკინ-
მრეწვის“ ადგილობრივმა რაიგანყოფილებამ
დაგვარწმუნა, არც ისე ხელასაღები ყოფილა.
საქმე იმაშია, რომ ეს პატივცემული გან-
ყოფილება თითქოს კულტომსახურებას უწე-
ვს კოლმეურნეებს. რომ იტყვიან სიზმარი-
ვით, მოულოდნელად გამოიჩინეს მისი მოძ-
რავი კინო სოფელში, ჩვენ ამის შესახებ არა-
ფერი ვიცით, მიიღებს გასამჯელოს და უკან
ბრუნდება.

ვეკითხები „სახკინმრეწვის“ აბაშის რაი-
განყოფილებას. — როგორ გავიგოთ თქვენს
მოძრავი კინოს მოსელის ამბავი? სიზმარი
არა გვწამს და არც ყოველთვის იქნება
სიზმარი, ამიტომ ყველაზე უფრო პრაქტი-
კული და მისაღები წინადადება იქნება —
ახალ მთვარეზე თქვენი მოსელა ჩვენთან კი-
ნო სურათის საჩვენებლად.

კოლმეურნე



— მამილო, ნეტავ როგორ სძლებენ მოზამთრეები ცივ ჩრდილოეთის პოლუსზე?
— გასძლებენ... რატომ არა! პოლუსია, აბანო ხომ არ არის!

მ/მგ. რედაქტორის მოვალ. აღმასრულებელი: ს. ბაჩეჩილაძე.

რედაქც. მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5

ბოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ. ნ. გალაყა წარმოებას 15/XII. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 25/XII. ზეკ. № 1550. მთავ. რწმ. 18475.